F 75/2 №13846

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

სამშაბათი,
3
ნოემბერი
1936 წ.
№ 256 (4755)

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

— ისტორიული თარიღი ახლოვდება (მოწინავე).
— როგორ მუშაობენ ორდენოსნები.
— თელავის რაიონმა შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა.
— „ანტ-25" გაფრინდა პარიზში.
— ხანჯიანი — ნაციონალ-უკლონისტ-სპეციფიკთა ნაბოლარა.
— გიორგი ქუჩიშვილი — ფეიქართა სიმღერა (ლექსი).

უცხოეთში:
— ესპანეთის რესპუბლიკის ჯარები წარმატებით იბრძვიან.
— მეამბოხეთა ფლოტის ნავსადგურ როსასზე თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები.
— ესპანეთის ამბებისათვის მიძღვნილი მიტინგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიული თარიღი ახლოვდება!

ახლოვდება 14 ნოემბერი — მრეწველობისა და ტრანსპორტის სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირის წლისთავი. სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სახელოვანი ადამიანები — სტახანოველები, დამკვრელები თავდადებით მუშაობენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ ამ დღეს.

ამ თათბირზე დიდმა სტალინმა გენიალურად, მეცნიერულად განსაზღვრა დიადი სტახანოვური მოძრაობის წარმომშობი პირობები და ის ამოცანები, რომლებიც იდგნენ და ახლაც დგანან სამეურნეო, პარტიულ, პროფესიულ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა წინაშე. ამხანაგ სტალინის საპროგრამო სიტყვა შექმნა სტახანოვური მოძრაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლისა და განვითარების ქვაკუთხედად.

ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო მაჩვენებლებისათვის, დიდი ბელადის მითითებათა ბოლშევიკურად შესრულებისათვის. მართლაც, რამდენი „სასწაული" მოხდა ამ მოკლე მანძილზე, რამდენი შესანიშნავი რეკორდი დაამყარეს ჩვენმა სტახანოველებმა, რამდენი ჩამორჩენილი ფაბრიკა, ქარხანა, კოლმეურნეობა დაწინაურდა და მოწინავეთა რიგებში ჩადგა!

ახლა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ახალი ადამიანები ემზადებიან ამ დღის შესახვედრად. მთელმა რიგმა საწარმოებმა ივალდებულეს საწარმოო გეგმის ვადაზე ადრე შესრულება. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. რა სურათია ამ მხრივ ჩვენში? უდავოა, რომ ჩვენმა მრეწველობამ გასულ წელთან შედარებით გააუმჯობესა მუშაობა. ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატის მრეწველობის პროდუქცია 1936 წლის 9 თვის განმავლობაში გასული წლის 9 თვესთან შედარებით გაიზარდა 24,4 პროცენტით. აქედან მძიმე მრეწველობის პროდუქცია გაიზარდა 27.6-ით, მსუბუქის — 13.9-ით, სატყეო მრეწველობის — 21.2-ით: შრომის ნაყოფიერების ზრდა კომისარიატის ხაზით უდრის 14.9 პროცენტს. მძიმე მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 16.3-ით. მსუბუქში — 13.9-ით.

მრეწველობის დარგებიდან ყველაზე თანმიმდევრულად გეგმას ასრულებენ მანქანათმშენებელი საწარმოები, აბრეშუმის ფაბრიკები და სამკერვალო საწარმოები. მაგრამ მთელ რიგ დარგებში გეგმის შესრულების მხრივ სექტემბერში დიდი სიძნელე იყო. ამ თვეში ძალიან ჩამორჩა აგურის მრეწველობა, ავეჯის თუჯისა და ფოლადის ჩამომსხმელმა ქარხანამ გეგმა შეასრულა მხოლოდ 21 პროცენტით, თუთუნის ქარხანამ — 31,3-ით, ბამბის ფაბრიკამ — 61,7-ით. როგორც ვხედავთ, მდგომარეობა ცუდია. ამ მაჩვენებლებით ქვეყანა ვერ დაკმაყოფილდება!

ჩვენს მრეწველობას ყველა პირობა მოეპოვება გეგმის შესრულებისათვის. მაშ რატომ არის ასეთი სიძნელე?

სტახანოვურმა მოძრაობამ მოითხოვა ახალი წესით ხელმძღვანელობა. ხოლო ზოგი ჩვენი სამრეწველო მუშაკი ვერ გაუთანასწორდა ამ ახალ ამოცანათა მოთხოვნის დონეს, ვერ უზრუნველყო ყოველდღიური ცოცხალი ხელმძღვანელობა და კვლავ ძველი, უვარგისი მეთოდებით განაგრძობს მუშაობას. ეს იმას ნიშნავს, რომ ბევრ ჩვენს დირექტორს ვერ გაუგია ახალი წესით მუშაობა და ხელმძღვანელობა. ამის მაგალითია აგურის მრეწველობის საწარმოთა დირექტორების (ამხ. აბრამოვი, კანდელაკი, ანდღულაძე) ცუდი, უხეირო მუშაობა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის აგვისტოს პლენუმმა ამ მრეწველობის მუშაკთა წინაშე დააყენა ამოცანა: დაეფარათ გასული თვეების ჩამორჩენა და უზრუნველეყოთ 1936 წლის დავალებათა შესრულება, მაგრამ მათ ც. კ-ის ამ მითითებისათვის ბრძოლა ვერ გააჩაღეს, სტახანოვური მოძრაობა ვერ გაშალეს, მექანიზმები სათანადოდ ვერ დატვირთეს, თვითღირებულება გაზარდეს და ასე ჩაშალეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ამ უმნიშვნელოვანესი მითითების შესრულება.

ზოგი საწარმო გეგმის შესრულების ხარჯზე აუარესებს პროდუქციის ხარისხს, ზოგან დირექტორები თავიდანვე არ იღებენ ზომებს გეგმის თანმიმდევრობით შესრულებისათვის და წლის ბოლოს ჩქარობენ და „იერიშზე" გადასვლით ფიქრობენ დავალების შესრულებას. ეს მავნე პრაქტიკაა, ამ „მეთოდით" მუშაობა აუარესებს პროდუქციის ხარისხს, ზედმეტად ტვირთავს და აფუჭებს მოწყობილობებს და ხშირად დიდ ზარალსაც გვაძლევს. ამიტომ საჭიროა ამ მავნე პრაქტიკის ძირშივე აღკვეთა და თვითეულ საწარმოში ბოლშევიკური წესრიგისა და დისციპლინის დამყარება, მწყობრი მუშაობის დაუფლება.

ფაბრიკის, ქარხნის დირექტორი — ეს ის ძალაა, რომლის კარგ მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული მთელი საწარმოს მუშაობა. ამიტომ დირექტორი ფხიზლად უნდა მისდევდეს სტახანოვურ მოძრაობას, ყოველდღიურად უნდა აუმჯობესებდეს ხელმძღვანელობას და დახმარებას სტახანოველების მიმართ. მან ყველა დამკვრელს უნდა შეუქმნას სტახანოველად გახდომის აუცილებელი პირობა. ეს ყველგან ასე არ ხდება და სწორედ ამიტომაც არის ასეთი სიძნელე გეგმის შესრულებაში.

სტახანოველთა საკავშირო თათბირის წლისთავისათვის მზადება ჯერ კიდევ ფართოდ არ არის გაშლილი. ადგილებზე ჯერ კიდევ ვერ მოამზადეს პირობები საამქროთა მთლიან სტახანოვურ საამქროდ გადაქცევისათვის. ბევრი ფაბრიკა-ქარხანა ღირსეულად როდი ხვდება ამ ისტორიულ დღეს.

საჭიროა ამ სამარცხვინო ლაქის დროზე მოცილება, საჭიროა ნამდვილი ბოლშევიკური ზრუნვა და დახმარება სტახანოველებისთვის, დამკვრელებისთვის, რათა მათ უფრო ფართოდ გაშალონ თავიანთი მუშაობა, რათა თვითეული საწარმო გადაიქცეს ტექნიკურ საწარმოო შტაბად. ამის მიღწევა ადვილად შეიძლება, თუ დირექტორები, პარტიული მუშაკები და ინჟინრები უკეთესად მოაწყობენ მუშათა ტექნიკურ სწავლას, ჩამორჩენილებს გაუზიარებენ მოწინავე სტახანოველთა გამოცდილებას და კარგად დააყენებენ საწარმოო თათბირების მუშაობას, სადაც თვითეულ მუშას შეეძლება გამოააშკარაოს ხელშემშლელი მიზეზი. ადმინისტრაციამ თათბირებზე აღნიშნული ნაკლოვანებანი უნდა გამოასწოროს დროულად. საწარმოო თათბირები წარმოადგენენ უდიდეს ძალას საწარმოთა მუშაობის გაჯანსაღებისათვის.

მაგრად მოვკიდოთ ხელი მზადებას სტახანოველთა საკავშირო თათბირის წლისთავისათვის, ღირსეულად შევხვდეთ ამ ისტორიულ თარიღს!

ყურძნის დამზადების გეგმა შესრულებულია

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. ლ. ბერიას.

თელავის რაიონმა 30 ოქტომბრისათვის შეასრულა ყურძნის დამზადების გეგმა. დამზადებულია 18.896 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16.732 ცენტნერისა. გეგმა შესრულებულია 113 პროცენტით. აქედან საბჭოთა მეურნეობებმა დაამზადეს 9.775 ცენტნერი, ანუ 128 პროც. საკოლმეურნეო-გლეხურ სექტორში დამზადებულია 9.121 ცენტნერი, გეგმა შესრულებულია 100,2 პროცენტით.

რაიონში მაღალხარისხოვანი ყურძენი დამზადებულია 11.743 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 11.200 ცენტნერისა. გეგმა შესრულებულია 105 პროცენტით.

მთელი მუშაობა იქითკენ არის წარმართული, რომ უზრუნველყოფილ იქნას მაღალხარისხოვანი ღვინის გამოშვება.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მდივანი ქარსანიძე.

◇ ◇ ◇

ჩაის კრეფის გეგმა შევასრულეთ

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანს ამხ. ლ. ბერიას.

პირველ ნოემბრისათვის სამტრედიის რაიონმა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა შეასრულა 101,5 პროცენტით. მოიკრიფა და სახელმწიფოს ჩაბარდა 74.095 კილოგრამი ფოთოლი.

საქ. კ. პ. (ბ) სამტრედიის რაიკომის მდივანი გეგენავა.
რაიაღმასკომის თავმჯდომარე გეგია.

◇ ◇ ◇

მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის გამარჯვება

კრემლში პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან შეხვედრის დროს ტფილისის მეექვსე სამკერვალო ფაბრიკის დირექტორმა ამხ. ვაშაძემ პირობა მისცა ამხანაგ სტალინს, რომ ფაბრიკა 1 ნოემბრისათვის 1936 წლის გეგმას შეასრულებდა 150 პროც. ფაბრიკამ 1 აგვისტოსათვის წლიური გეგმა შეასრულა 106,5 პროცენტით, ხოლო პირველი ნოემბრისათვის — 151 პროცენტით.

ფაბრიკას გეგმით უნდა გამოეშვა 1.110,5 ათასი მანეთის პროდუქცია, ფაქტიურად გამოუშვა 1.676,4 ათასი მანეთისა. შრომის ნაყოფიერება ერთ მუშაზე გაიზარდა 33,6 პროცენტით, თვითღირებულება შემცირდა 11,3 პროცენტით. წუნი დაყვანილია 0,18 პროცენტამდე, სტახანოველთა რაოდენობა გაიზარდა 140 კაცამდე, რაც მთელი მუშების 80 პროცენტს უდრის.

სამკერვალო ფაბრიკა № 6-ის სამკუთხედი:
ვაშაძე, ყურულოვი, ბერძენიშვილი.

ორდენოსანი მეცხოველეები

სურათზე: (მარცხნიდან—მარჯვნივ): კოტე ლაგაზიძე (თელავის რაიონი), კობა ჩოხელი (სიღნაღის რაიონი), მუსტაფა ისა-ოღლი ალიევი (ბორჩალოს რაიონი), ექ. მიქენაია (ზუგდიდის რაიონი), ქეტო შალვაშვილი (სიღნაღის რაიონი), ან. დოროხოვი (ლაგოდეხის რაიონი).

როგორ მუშაობენ ორდენოსნები

მეცხოველე კოლმეურნეთა თათბირი მიწსახკომში

მიმდინარე წლის თებერვალში მეცხოველეობის მოწინავეთა თათბირზე კრემლის დარბაზში საქართველოს მეცხოველეობის მუშაკებმა სიტყვა მისცეს დიდ ბელადს, რომ მიაღწევდნენ ახალ-ახალ წარმატებებს მეცხოველეობაში. მეცხოველე ორდენოსანი კოლმეურნენი ამ დაპირებას ბოლშევიკურად ასრულებენ. სტალინური ეპოქის ადამიანები ამსხვრევენ ძველ ნორმებს, ზოოტექნიკაში და საკოლმეურნეო შრომის შესაძლებლობის საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევიან. ეს ნათლად დადასტურდა 1 ნოემბერს მიწსახკომში ამხ. გვარამიას თავმჯდომარეობით მოწვეულ მეცხოველე ორდენოსან კოლმეურნეთა თათბირზე.

თათბირს დაესწრო 13 ორდენოსანი კოლმეურნე საქართველოს სხვადასხვა რაიონებიდან. ზედიზედ გამოდიან სტალინური ეპოქის ეს ღირსეული ადამიანები და ციფრებით ხელში მოუთხრობენ იმ სასწაულებზე, რომლებსაც ახდენენ ისინი მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ლაპარაკობს ზემო-ქედის (სიღნაღის რაიონი) კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მეცხვარეობის ფერმის გამგე, შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებული ამხ. კობა ჩოხელი.

ამხ. ჩოხელის სიტყვიდან ირკვევა, რომ ბატკნის გამოზრდისა და შენარჩუნების გეგმა მან გადაჭარბებით შეასრულა. ყველა ცხვარი და ბატკანი ჯანსაღია. თითო ცხვარზე მიიღო 2 კილოგრამი და 900 გრამი მატყლი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 2,5 კილოგრამისა. სახელმწიფო ვალდებულებანი კოლმეურნეობამ პირნათლად შეასრულა. როგორ აღწევს კოლმეურნეობა წარმატებებს? პირველ ყოვლისა იმით, რომ მეცხოველეობის საქმე საიმედო პირთა ხელშია. ისინი დაუფლებულნი არიან თავისი საქმის ტექნიკას და თვალისჩინივით უფრთხილდებიან თვითეულ ცხვარსა და ბატკანს. კოლმეურნეობა კარგად მოემზადა პირუტყვის გამოზამთრებისათვის. უხეში და კონცენტრირებული საკვებით მომარაგებული აქვთ საკმაო რაოდენობით. ამ კოლმეურნეობამ 5.000 სული ცხვარი უნდა გარეკოს შირაქში საზამთრო საძოვრებზე. კოლმეურნეობა მზად არის ამ პასუხსაგები სამუშაოს წარმატებით შესრულებისათვის.

ლადო ბაწაშვილი
ორდენოსანი, სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკის" მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირი.

ლენინის ორდენით დაჯილდოვებულმა კოტე ლაგაზიძემ (თელავის რაიონის ზემო-ალვანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მეცხვარეობის ფერმის გამგე) ბატკნის გამოზრდის გეგმა შეასრულა 102,4 პროცენტით. თვითეულ დედა-ცხვარზე მატყლი მიიღო სამი კილოგრამი და 310 გრამი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3 კილოგრამისა. აქ ბატკნის საშუალო წონა განისაზღვრება 33 კილოგრამით. წელს კოლმეურნეობამ პირველად ჩაატარა ცხვრის ხელოვნური განაყოფიერება. ხელოვნურად დაგრილებულია 5.000 სული ცხვარი. ამხ. ლაგაზიძემ თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა იმას, რომ შირაქში საზამთრო საძოვრებზე ჯერ კიდევ არ არის მოწყობილი ბინა 4.000 სული ცხვრისათვის. სამიწათმოქმედო ორგანოების ყურადღება გაამახვილა ამ საქმეში უფრო მეტი დახმარების საჭიროებაზე.

სოფ. ორსანტიის (ზუგდიდის რაიონი) ფერმის გამგემ ექვ. მიქენაიამ განაცხადა, რომ წელს არ ყოფილა ღორისა და გოჭის სიკვდილიანობის არცერთი შემთხვევა. მე დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს კრემლში ყოფნისას სიტყვა მივეცი, თითო დედა-ღორზე წლის განმავლობაში 22 გოჭს შევინარჩუნებ-მეთქი. ჯერჯერობით თითო დედა-ღორზე შენარჩუნებული მყავს 18. გოჭების მოგება გრძელდება. ამ დაპირებას უთუოდ გავანაღდებ.

გამოირკვა, რომ ორსანტიის კოლმეურნეობაში შემოუღიათ ღორების კვება კონცენტრირებული და უხეში საკვების კომბინირებით (გაფუების გზით), რაც დიდად უწყობს ხელს ღორების მომატებას წონაში.

ბ. უზუნიანი
ორდენოსანი, ახალქალაქის რაიონის შაუმიანის სახ. კოლმეურნეობის სარძეო ფერმის გამგე

ზოოტექნიკური მეცნიერების ზოგიერთი ნორმის დამსხვრევის მაგალითს იძლევა სოფ. ქესალოს (ბორჩალოს რაიონი) მეცხვარეობის ფერმის ბრიგადირი, ლენინის ორდენით დაჯილდოვებული მუსტაფა ისა-ოღლი ალიევი. მან შესძლო წელს ორმაგი დადოლების მიღება. გარდა ამისა, თითო დედა-ცხვრისაგან მიიღო რ კილო და 600 გრამი ყველი. ეს ციფრი ყველის გამოსავლიანობის მაღალი მაჩვენებელია.

თათბირზე გამოაშკარავდა, რომ ბორჩალოს რაიმიწგანი (გამგე ამხ. სამონიანი) ორდენოსანს საჭირო დახმარებასა და მზრუნველობას არ უწევს. დადგა დრო, როცა ცხვარი უნდა დაიძრას საზამთრო საძოვრებისაკენ. ალიევმა რამდენჯერმე მიმართა მიწგანს — აღმოეჩინათ დახმარება ცხვრისათვის შესაფერისი ადგილის გამოძებნაში. მაგრამ მიწგანს საჭირო ზომები არ მიუღია.

ნაყოფიერად მუშაობს ახალქალაქის რაიონის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის სარძეო-სასაქონლო ფერმის გამგე ბ. უზუნიანი. აქ ხბოს საშუალო წონა უდრის 120 კილოგრამს, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 85 კილოგრამისა. ორდენოსანი უზუნიანის ფერმაში ხბოების მოვლა სანიმუშოდ არის დაყენებული.

მეცხოველეობის საკავშირო თათბირიდან დაბრუნების შემდეგ კიდევ უფრო გააუმჯობესა მუშაობა ორდენოსანმა ელენე ბარძიმაძემ. ამხ. ბარძიმაძე მშვენივრად მუშაობს ციხისჯვრის (ბორჯომის რაიონი) საბჭოთა მეურნეობაში. მან ძროხები მოგების პირველ დღეებში 5 წველაზე გადაიყვანა და ამით გაზარდა წველადობა.

ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეობა „წითელარმიელის" მეჯინიბემ ან. დოროხოვმა საუკეთესო მოვლისა და ზოოტექნიკური ცოდნის დაუფლებით მოახერხა 24 ცხენის მოგებული კვიცების ოცდაოთხივე მთლიანად შენარჩუნება.

კარგი მაჩვენებლები აქვს ცხაკაიას რაიონის მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორე-ბრიგადირს გრ. ჩემიას. აქ ღორების დაგრილების გეგმა შესრულებულია 114 პროცენტით. თითო დედა-ღორზე საშუალოდ მიღებულია 9 გოჭი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 8,5-ისა. ჩემიაზე გაპიროვნებული ღორებიდან წელს მიღებულია 612 გოჭი, ნაცვლად 504-სა. მას ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება, რომ დედა-ღორზე ნამატის სახით მიიღებდა 62,5 ფუთ ხორცს. ფაქტიურად მიიღო 67,75 ფუთი.

მეცხოველეობის ფრონტზე ნაყოფიერად მუშაობს აგრეთვე ორდენოსანი ბრიგადირი ლადო ბაწაშვილი (სიღნაღის რაიონი, კოლმეურნეობა „წითელი არბოშიკი"). მან თითო დედა-ცხვარზე სამი კილო მატყლის ნაცვლად მიიღო 3 კილო და 200 გრამი. ნამატი შეინარჩუნა 100.2 პროცენტით.

ასეთივე საამაყო მაჩვენებლებით წარსდგნენ მიწსახკომში მოწვეულ თათბირზე ორდენოსნები: ტ. მელიქიძე (ბორჯომის რაიონი), ქ. შალვაშვილი (სიღნაღის რაიონი), ნად. კორიევა (სამხრეთ-ოსეთი) და ქ. ხასია (ზუგდიდის რაიონი).

თათბირმა განიხილა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების საკითხი. მეცხოველე ორდენოსნები ამ მხრივაც წარმატებით მუშაობენ. მათ იკისრეს ვალდებულება, რომ გამოფენაზე წარსადგენ მეცხოველეობის ექსპონატებს ამ ზამთარში საუკეთესოდ მოუვლიან.

თათბირზე გამომჟღავნდა, რომ ზოგიერთ რაიონში სამიწათმოქმედო ორგანიზაციები სათანადო დახმარებას არ უწევენ ორდენოსნებს შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამას დაუყოვნებლივ უნდა მოეღოს ბოლო. საჭიროა აგრეთვე მეცხოველე ორდენოსანთა საწარმოო გამოცდილება ფართოდ გავრცელდეს ყველა კოლმეურნეობაში, ყველა ფერმაში, ყველა ბრიგადაში.

ესპანეთის ფრონტებზე

რესპუბლიკის ჯარები წარმატებით იბრძვიან

მადრიდი, 2 ნოემბერი. ოფიციალურ ცნობაში 1 ნოემბრისათვის ფრონტებზე არსებული მდგომარეობის შესახებ ნათქვამია, რომ ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე მთავრობის არტილერია გაძლიერებით უშენდა ყუმბარას მეამბოხეთა პოზიციებს ოვიედოში.

არაგონის ფრონტზე მეამბოხენი მთელი დღის განმავლობაში უშენდნენ ტყვიასა და ყუმბარებს მთავრობის ჯარების პოზიციებს ტარდიენტისა და სიერა დე ალკუბიერეს რაიონებში. უკანასკნელ რაიონში მთავრობის არტილერიამ ჩამოაგდო მეამბოხეთა თვითმფრინავი.

ცენტრალურ ფრონტზე მთიან რაიონებში სიწყნარეა. მთავრობის ჯარებმა მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში ბრუნეტეს რაიონში (მადრიდის დასავლეთით). მდინარე ტახოს რაიონში მთავრობის ჯარებმა წინ წაიწიეს და დაიკავეს პოზიციები, რომლებიც გაბატონებული არიან პარლას პუნქტზე (მადრიდის სამხრეთით). მოგერიებულ იქნა მეამბოხეთა კოლონის იერიშები სესენიასა დე ლა ტორესა და ვილიასეკა დე ენარესში. კონტრიერიშის შედეგად მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ლატოია და მოწინააღმდეგეს დიდი ზიანი მიაყენეს. მეამბოხეთა ავიაციამ ყუმბარას უშენდა ალკალა დე ენარესს (მადრიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით). დაშენას არავითარი ზიანი არ მიუყენებია. მთავრობის ავიაცია მთელი დღის განმავლობაში ამ ფრონტზე წარმატებით უშენდა მეამბოხეთა პოზიციებს.

○

ლონდონი, 2 ნოემბერი. „ტაიმსი" ადასტურებს, რომ მეამბოხენი ოვიედოში კვლავ განამარტოვეს მაროკოელთა რაზმებმა. მეამბოხეთა იმ კოლონას, რომელიც ალყაშემორტყმულთა დასახმარებლად იყო გაგზავნილი, მთავრობის ჯარები გარს შემოეხვივნენ მთებში.

ბასკების რაზმებმა დაიკავეს მონდრაგონი (ბილბაოს სამხრეთ-აღმოსავლეთით).

მთავრობის ჯარები წარმატებით განაგრძობენ ოპერაციებს უესკის გარშემო. მთავრობის კავალერიამ სელადასის რაიონში (ტერუელის პროვინცია) მთელი რიგი პუნქტები დაიკავა და ახლა იმყოფება ტერუელიდან დაახლოვებით ორი კილომეტრის მანძილზე.

„ტაიმსი" გადმოგვცემს, რომ მთავრობის ჯარებმა გაამაგრეს მათ მიერ დაჭერილი პოზიციები ილიესკასსა და არანხუესს შუა. მაგრამ მეამბოხეებმა დაიწყეს შეტევა ილიესკასსა და ნავალკარნეს შუა. არანხუესა და ტოლედოს შუა მთავრობის ჯარებმა მოიგერიეს მეამბოხეთა იერიშები, მეამბოხენი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ხელთ იგდონ ალგოდორეს და კასტილიეხოს (ტოლედოს ჩრდილო-აღმოსავლეთით) რკინიგზის კვანძები, მაგრამ რესპუბლიკის ჯარის ნაწილების მხრივ გადამწყვეტ წინააღმდეგობას ხვდებიან.

„დეილი ექსპრესი" და „ნიუს ქრონიკლი" ხაზს უსვამენ, რომ მადრიდსა და ხეტაფეზე მეამბოხეთა თვითმფრინავების თავდასხმებმა უდიდესი აღშფოთება გამოიწვიეს დედაქალაქის მოსახლეობაში. მადრიდმა ყუმბარის დაშენის პასუხად ფრონტზე დიდძალი მოხალისე გაგზავნა. გუშინ რესპუბლიკის არმიაში შევიდა 4 ათასი მოხალისე. (საქტს).

◇ ◇ ◇

მეამბოხეთა თვითმფრინავების თავდასხმა მადრიდზე

ლონდონი, 1 ნოემბერი. გუშინ მეამბოხეთა თვითმფრინავებმა ოთხი თავდასხმა მოახდინეს მადრიდზე. გაზეთების ცნობით თავდასხმაში მონაწილეობდა 3 აეროპლანი, რომელიც წააგავდნენ იტალიის „კაპრონის" სისტემის თვითმფრინავებს. თვითმფრინავები გარეკეს საზენიტო ქვემეხთა ძლიერი ცეცხლით. თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს ერთი ყუმბარა. (საქტს)

◇

ბრძოლა ადის-აბების სამხრეთ-აღმოსავლეთით

რომი, 31 ოქტომბერი. გაზეთები იუწყებიან, რომ ადის-აბების სამხრეთ-აღმოსავლეთით 70 კილომეტრის მანძილზე მოხდა ბრძოლა იტალიის საოკუპაციო ჯარებსა და აბისინიელ პარტიზანულ რაზმს შორის. პარტიზანული რაზმი შესდგებოდა ათასხუთასზე მეტი მებრძოლისაგან, რომელიც შეიარაღებული იყვნენ შაშხანებითა და ტყვიამფრქვევებით. გაზეთების სიტყვით პარტიზანებს 400-ზე მეტი კაცი მოუკლეს. (საქტს)

მეამბოხეთა ფლოტის ნავსადგურ როსასზე თავდასხმის დაწვრილებითი ცნობები

პარიზი, 1 ნოემბერი. გაზეთები იუწყებიან ესპანელ მეამბოხეთა სამხედრო გემების როსასზე თავდასხმის დაწვრილებით ცნობებს. მეამბოხეთა კრეისერი „კანარიასი" და ორი სხვა მცირე გემი შევიდნენ როსასის ბუხტაში; მათ არაფერი უპასუხეს ნავსადგურის ხელისუფალთ კითხვაზე, თუ ვის ეკუთვნის გემები და რატომ შედიან ბუხტში გაუფრთხილებლად. ნავსადგურის სადარაჯო ნავი გაემართა მეამბოხეთა გემებისკენ და ტყვიამფრქვევისა და თოფის სროლით მოსთხოვა გაჩერებულიყვნენ. მაგრამ „კანარიასმა" და მისმა მხლებელმა გემებმა სროლა აუტეხეს მოდარაჯე ნავს და ჩასძირეს. შემდეგ მეამბოხეებმა დაუშინეს ნავსადგურ როსას და მის მიდამოებს. რამდენიმე მეთევზე მოკლულია, დაჭრილია 30-მდე. მეამბოხეებმა ორჯერ ჩაუშვეს ნავები დესანტის გადასაყვანად, მაგრამ იძულებული ხდებოდნენ ნავები ისევ აეწიათ: რესპუბლიკელებმა ტყვიამფრქვევის ცეცხლით შეუშალეს ხელი დესანტის ჩასმას ნავებში. (საქტს)

ესპანეთის ამბებისათვის მიძღვნილი მიტინგი

პრაღა, 1 ნოემბერი. ჩეხოსლოვაკიაში შეიქმნა დემოკრატიული ესპანეთის დამხმარე კომიტეტი. კომიტეტის შემადგენლობაში შევიდნენ ჩეხოსლოვაკიის ინტელიგენციის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები. კომიტეტს სათავეში უდგას პროფესორი ნეედლი. დღეს პრაღის ყველაზე დიდ დარბაზში გაიმართა კომიტეტის მიერ მოწვეული მიტინგი, რომელსაც მრავალი ათასი კაცი დაესწრო. მიტინგმა ჩაიარა შემდეგი ლოზუნგით — „ჩეხოსლოვაკიის ინტელიგენცია ესპანეთის ხალხის დასახმარებლად". მიტინგზე გამოვიდა ცნობილი ჩეხოსლოვაკელი მწერალი ვანჩურა, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ყველა დემოკრატიულ წრეს მოუწოდებდა ნამდვილი დახმარება აღმოუჩინონ ესპანეთის ხალხს. „ომს ესპანეთის ხალხის წინააღმდეგ, — განაცხადა ვანჩურამ, — აწარმოებს ევროპის ყველა რეაქციონერი, ამიტომ ევროპის ყველა მოწინავე ადამიანი უნდა შეერთდეს ესპანეთის ხალხის დასახმარებლად". მიტინგზე მოვიდა ესპანეთის საქმეთა რწმუნებული ჩეხოსლოვაკიაში ასუა, რომელსაც მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. (საქტს)

ამხ. კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მეთაური ბ-ნი ამორი

მოსკოვი, 2 ნოემბერი. 31 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახალხო კომისარმა საბჭოთა კავშირის მარშალმა ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ამორი. ბ-ნ ამორს ახლდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საბჭოთა კავშირში ბ-ნი დარიზავი და ბ-ნი დამბა.

მიღებას დაესწრო აგრეთვე საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი მონღოლეთში ამხ. ვ. ტაიროვი. (საქტს)

◇ ◇ ◇

„ანტ—25" გაფრინდა პარიზში საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე

მოსკოვი, 2 ნოემბერი. 1 ნოემბერს თვითმფრინავი „ანტ—25", რომელმაც მიმდინარე წლის ზაფხულს მოახდინა ავიაციის ისტორიაში უმაგალითო ძირისდაუშვებელი გადაფრენა 10.000 კილომეტრის მანძილზე, გაფრინდა პარიზში საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე.

ლეგენდარული თვითმფრინავი — საბჭოთა ავიაციის სიამაყე გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება იმ სახით, როგორც ის დაბრუნდა მოსკოვში თავისი ისტორიული გადაფრენის დამთავრების შემდეგ.

თვითმფრინავი პარიზში გასაფრენად მზად იყო ჯერ კიდევ რამდენიმე დღის წინათ. მისი მოტორისა და მოწყობილობის დეტალურად შემოწმების დროს აღმოჩნდა, რომ, მიუხედავად ათეული ათასი კილომეტრის გზისა, „ანტ—25"-ის სიმძლავრე ოდნავადაც არ შემცირებულა. საჭირო არ შეიქნა აგრეთვე ხელსაწყოების არავითარი შეცვლა. წითელფრთიანი ლამაზი „ანტ-25" ბრწყინავს ახალი მკაფიო სიღებავებით. ფიუზელიაჟზე კიაფობს ამაყი წარწერა: „სტალინური მარშრუტი", თვითმფრინავის კუდზე მოხაზულია გმირული მარშრუტი: მოსკოვი—ჩკალოვის კუნძული (უდდის კუნძული)—მოსკოვი.

1 ნოემბრის დილიდან ამინდი არაფერს კარგს არ გვიქადდა. 8 საათზე სასტარტო გუნდმა გამოიყვანა თვითმფრინავი ანგარიდან სასტარტო გზაზე.

— ფრენა საკმაოდ ძნელი იქნება, — ამბობს გადაფრენის მომზადების მეთაური, ცენტრალური აეროჰიდროდინამიკური ინსტიტუტის ინჟინერი ამხ. ჩეკალოვი.

დილის 11 საათზე საბჭოთა კავშირის გმირები ამხ. ჩკალოვი, ბაიდუკოვი და ბელიაკოვი მოდიან ავტომანქანით თვითმფრინავთან. ამხ. ჩკალოვი პირველი იკავებს ადგილს პილოტის სავარძელში.

თვითმფრინავთან არიან გამცილებლები — საავიაციო მრეწველობის მთავარი სამმართველოს, ცენტრალური აეროჰიდროდინამიკური ინსტიტუტის პასუხისმგებელი მუშაკები, მფრინავები, რომელთა შორის არის საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. გრომოვი.

11 საათსა და 10 წუთზე ამხ. ჩკალოვმა სტარტი დაიწყო. ფოლადის ფრინველი ფართოდ გაშლილი წითელი ფრთებით ადვილად მოსწყდა მიწას და მალე მიიმალა ღრუბლებში.

„ანტ—25" მიდის მარშრუტით მოსკოვი—ველიკიე ლუკი—კაუნასი—კენიგსბერგი—ბერლინი—კელნი—პარიზი. პირველი დაშვება მოხდება კენიგსბერგში.

მოსკოვი, 2 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის საავიაციო მრეწველობის მთავარ სამმართველოში საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელმა შემდეგი ცნობები მიიღო თვითმფრინავ „ანტ—25"-ის ფრენის მიმდინარეობის შესახებ.

საბჭოთა საზღვარი თვითმფრინავმა გადაიარა 15 საათსა და 3 წუთზე.

მეტეოროლოგიური პირობები მთელი ფრენის მანძილზე არახელსაყრელი იყო: დაბალი ღრუბლიანობა, წვიმა. ხილვადობა არ აღემატებოდა 2 კილომეტრს.

18 საათზე „ანტ—25" მშვიდობით დაეშვა კენიგსბერგის აეროდრომზე. თვითმფრინავის ეკიპაჟს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის გენერალური კონსული და საკონსულოს თანამშრომლები. (საქტს).

◇

უცხოეთის მუშათა დელეგაციები მოდიან საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 2 ნოემბერი. საკავშირო პროფსაბჭომ მთელი რიგი ქვეყნებიდან მიიღო ცნობა, რომ საბჭოთა კავშირში მოემგზავრებიან მუშათა დელეგაციები, რათა მონაწილეობა მიიღონ დიდი სოციალისტური რევოლუციის XIX წლისთავის დღესასწაულში.

საფრანგეთიდან ჩამოვა სამთამადნო მუშების, რკინიგზელების, მშენებლებისა და სხვა პროფკავშირების დელეგაცია, ლონდონიდან გამოემგზავრა სამთამადნო მუშების დელეგაცია. ჩეხოსლოვაკიიდან 3 ნოემბერს საბჭოთა კავშირში მოემგზავრება საწარმოებსა და პროფკავშირების ადგილობრივ ორგანოებში არჩეული დელეგაცია.

საბჭოთა კავშირში გამოემგზავრა აგრეთვე ესპანეთის დელეგაცია პროფკავშირების და იმ პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, რომლებიც შედიან სახალხო ფრონტში. ბელგიიდან საბჭოთა კავშირში მოდიან მელითონეების, ტრამვაის მუშების, მოსამსახურეებისა და სხვათა დელეგატები.

შვეციიდან და ნორვეგიიდანაც მიღებულია ცნობები, რომ მუშათა დელეგაციები ემზადებიან საბჭოთა კავშირში წამოსასვლელად. (საქტს)

ხანჯიანი — ნაციონალ-უკლონისტ-სპეციფიკთა ნაბოლარა

სომხეთის კ. პ. (ბ) ც. კ-ტის მდივნის ამხ. ა. ამატუნის მიერ ერევნის პარტორგანიზაციის ქალაქის აქტივის კრებაზე 1936 წლის 2 ოქტომბერს გაკეთებული მოხსენებიდან

სომხეთის კომპარტიის შემდგომი მუშაობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ანტიპარტიული ნაციონალისტური გადახრის შინაარსის გამორკვევას, რომელსაც ხანჯიანი მეთაურობდა. აუცილებლად საჭიროა თვალი გავადევნოთ სომხური ნაციონალ-უკლონიზმის გზას, დაწყებული სპეციფიზმის რეციდივით 1923—1927 წ. (სომხეთის კ.პ. (ბ) ცენ. კომიტეტის ყოფ. მდივნის ა. ა. იოანისიანის დროს) ტერორისტ-ტროცკისტებთან და დაშნაკებთან ხანჯიანის პირდაპირ დაკავშირებამდე დღევანდელ ეტაპზე.

აუცილებლად საჭიროა მოკლედ გავიხსენოთ სომხური ნაციონალ-უკლონიზმის განვითარების ძირითადი ეტაპები, გამოვყოთ ის მომენტები, იმ პრინციპულ საკითხთა ჯგუფი, რომლებიც დღესაც დიდ ინტერესს წარმოადგენენ სომხეთის პარტიული ორგანიზაციისათვის მის ბრძოლაში ნაციონალ-უკლონიზმთან.

ამისათვის კი საჭიროა დავიწყოთ ეგრეთწოდებულ „სპეციფიკოთაგან", მათი საქმიანობიდან 1905—1907 წლებში.

სომხური სპეციფიზმის, ანუ, როგორც „სპეციფიკები" თავის თავს უწოდებდნენ, „სომხური სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის" პოლიტიკური დედაარსი მდგომარეობდა იმ მისწრაფებაში, რომ სხვადასხვაგვარ „სპეციფიკურობას", „თავისებურებას" ამოფარებით სომეხ მუშათა რევოლუციური მოძრაობა მოეწყვიტათ საერთო-პროლეტარული მოძრაობისათვის, გაეტაცებით ისინი „ნაციონალური ინტერესებით", მუშათა მოძრაობა დაემორჩილებინათ ნაციონალური ბურჟუაზიისათვის.

1905 წელს სპეციფიკები პრეტენზიას აცხადებდნენ სოციალ-დემოკრატიულ საერთო-სარუსეთო კონფერენციაში მონაწილეობაზე, როგორც სომხეთის მუშათა კლასის წარმომადგენელნი. **ლენინმა** კატეგორიული პროტესტი განაცხადა ამის წინააღმდეგ. ბოლშევიკთა ცენ. კომიტეტის სახელზე 1905 წლის 7 სექტემბერს დაწერილ წერილში **ლენინი**, ლაპარაკობდა რა სპეციფიკებზე, შემდეგს სწერდა:

„ფრიად და ფრიად გაფრთხილებთ „სომხეთის სოციალ-დემოკრატიული ფედერაციის" გამო. თუ თქვენ თანხმობა განაცხადეთ მის მონაწილეობაზე კონფერენციაში, **საბედისწერო** შეცდომა მოგვსვლიათ, რომელიც საჭიროა, **რადაც უნდა დაგვიჯდეს**, გამოვასწოროთ. ესენი ორიოდე ქენეველი დეზორგანიზატორნი არიან, რომლებიც აქ მთლად უბადრუკ ნაწერებს ბეჭდავენ და არავითარი **სერიოზული** კავშირი არა აქვთ კავკასიაში, ეს **ბუნდელთა კრეატურაა**, სხვა არაფერი. სპეციალურად იმისათვის გამოგონილი, რომ კავკასიური ბუნდიზმი ასაზრდოოს. თუ თქვენ ამ ვაჟბატონებს დაუშვებთ **სარუსეთო** კონფერენციაზე, ე. ი. რუსეთში მომუშავე ორგანიზაციათა კონფერენციაზე, საშინელ წუმპეში ჩავეფლობით. ყველა კავკასიელი ამხანაგი ლიტერატორ-დეზორგანიზატორთა ამ ხროვის წინააღმდეგია (ეს მე ბევრისგან მსმენია). თქვენ გამოიწვევთ კავკასიის მთლიანად პროტესტს და „ვაერთიანებებს" ნაცვლად **ახალ** კინკლაობას. გეთაყვათ, აბა, როგორ შეიძლება უგულებელვყოთ კავკასიის კავშირი, უამრავი მომუშავენი რუსეთში და ავიტორლილოთ ქენევის ჭაობის ნაძირალები!!". (თხზ. კრებ., ტომი XXVIII, გვ. 496—497, ხაზი ლენინისაა).

ომის წლებში და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ სპეციფიკები სულითა და გულით ემსახურებოდნენ დაშნაკებს, ინგლის-გერმანიის იმპერიალისტებსა და რუსეთის თეთრგვარდიელებს.

სომხეთისა და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა, **ლენინის** მითითებათა ერთგულებმა ამხანაგი **სტალინისა** და მის საუკეთესო თანამებრძოლთა და მოწაფეთა — სურენ სპანდარიანისა და სტ. შაუმიანის ხელმძღვანელობით ბოლშევიზმის ყველა მტერთან შეურიგებელ ბრძოლაში ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე გაანადგურეს სომეხი სპეციფიკები, დაშნაკიზმის ეს ერთი მეშა უღირსი აგენტები სომეხი მუშების ჩამორჩენილ ფენებში.

საბჭოთა პერიოდში, 1925—1927 წლებში, ა. იოანისიანის დროს, სომხეთის კომპარტიის ხელმძღვანელობაში გვხვდება სომხური სპეციფიზმის რეციდივი.

ა. იოანისიანისა და სხვების ხელმძღვანელობის ნაციონალ-უკლონისტური შეცდომანი კვალიფიცირებულ იქნა, როგორც სპეციფიზმის რეციდივი, იმიტომ რომ, ჯერ-ერთი, ა. იოანისიანის ხელმძღვანელობა საბჭოთა პირობებში ცდილობდა განეხორციელებინა სპეციფიკთა პოლიტიკური დებულებანი, და, მეორე, აყალბებდა რა ბოლშევიკური ორგანიზაციებისა და სომხეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიას, ცდილობდა სომხეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ფუძემდებლებად გამოეყვანა სპეციფიზმის ორგანიზატორნი. უკლონისტურმა ხელმძღვანელობამ ისიც კი მოახერხა, რომ ქ. ერევანში ძეგლი დაედგა სპეციფიზმის ერთ-ერთი ორგანიზატორის — რუბენის.

აღდგენითი პერიოდის დამთავრების ეპოქიდან მთელი საბჭოთა მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციაზე პარტიის გადასვლის ისტორიულ ეტაპზე, კაპიტალისტური ელემენტთა „შეზღუდვისა და განდევნის პოლიტიკიდან მთელი ფრონტით სოციალიზმის გაშლილი შეტევის პოლიტიკაზე გადასვლის წინაშე, მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე პარტიის გადასვლის წინაშე, — სპეციფიზმის რეციდივი სომხეთის კომპარტიაში ასახავდა სოციალიზმის მშენებლობისადმი ჩვენი ქვეყნის ბურჟუაზიულ-კულაკურ ელემენტთა წინააღმდეგობასა და აქტივიზაციას.

ა. იოანისიანისა და სხვების სპეციფიზმი გამოიხატებოდა:

ჯერ-ერთი, იმის ცდაში, რომ სომხეთის პარტიულ ორგანიზაციაში შეეპარებინათ პოლიტიკა ეკონომიური სეპარატიზმისა ამიერ-კავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის მიმართ;

მეორე, იმის ცდაში, რომ პარტიულ მუშაობაში დაენერგათ ელემენტები ფედერალიზმისა ზემდგომ პარტიულ ორგანიზაციების მიმართ;

მესამე, დაშნაკებთან და ნაციონალიზმის გამოვლინებებთან შემარიგებლობაში, დ. ანანუნისა და სხვ. ტიპის აშკარა კონტრრევოლუციონერებთან კავშირსა და მათთვის ხელის დაფარებაში.

და ყოველივე ამას, როგორც ხდება ხოლმე, შეფარავდნენ ყოველნაირი „თეორიული" ხრიკებით.

სომხეთის ნაციონალურ-ყოფაცხოვრებითი თავისებურების დამცველთა სამოსელში გახვეულნი, ნაციონალ-უკლონისტები ილაშქრებდნენ კოლექტივიზაციის წინააღმდეგ, ზოგი მათგანი ცხადყოფდა, რომ სომხეთის პირობებში კულაკი — „ფსიქოლოგიური კატეგორიაა", რომ სომხეთში შეუძლებელია ბურჟუაზიული მავნებლობა სომხეთის ბურჟუაზიული ინტელიგენციის იმ „ნაციონალური განსხვავების" გამო, რომელიც თითქოს „საერთო-ნაციონალურ ინტერესებს" გამოხატავდა. ნაციონალ-უკლონისტ - სპეციფიკები თავის „თეორიულ" გამოსვლებში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ დაშნაკების ლიკვიდაცია თვითდინებით ხდება და ამიტომ საჭირო არ არის მათ წინააღმდეგ ბრძოლა ვაწარმოოთ.

„შემრიგებლობისა და თანხმობის" მთელი ეს ვარდისფერი ბურუსი სპეციფიკებს იმისთვის სჭირდებოდათ, რომ დაეფარათ თავისი აშკარა ნაციონალისტური ხაზი, მიმართული ნაციონალისტურ, დაშნაკურ და კულაკურ ელემენტთა მხარის დასაჭერად.

განა ნათელი არ არის, რომ თუ სომხეთის კომპარტიის შინაპარტიულ ბრძოლაში 1926—1928 წლებში ნაციონალ - უკლონისტ - სპეციფიკები გაიმარჯვებდნენ, ისინი გზას გაუხსნიდნენ ყველა ჯურის ნაციონალისტებს, ზავს შეჰკრავდნენ დაშნაკებთან, შეასუსტებდნენ კავშირს ამიერ-კავკასიის ხალხთა შორის, საქმეს წარმართავდნენ სომხეთის მოსაწყვეტად საბჭოთა კავშირისაგან, გზას გაუხსნიდნენ დაშნაკებს და საქმეს გაუადვილებდნენ მათ პატრონებს — ინტერვენტებს?

განა ნათელი არ არის, რომ ვინიცობაა გაემარჯვათ უკლონისტ-სპეციფიკებს, ისინი ჩვენს რესპუბლიკას წაიყვანდნენ კაპიტალისტური რესტავრაციის გზით?

როგორ ეპყრობოდა ხანჯიანი ნაციონალ-უკლონისტებს და ყოფილ სპეციფიკებს?

ჯერ კიდევ ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩევამდე ხანჯიანი ლიბერალურ ხაზს ატარებდა ყოფილი სპეციფიკების მიმართ. მათ წინააღმდეგ ბრძოლის უაღრესად მწვავე პერიოდშიაც კი ხანჯიანს კავშირი არ გაუწყვეტია ა. იოანისიანთან.

სომხეთის ამ უკანასკნელ წლებში გამოცემული ისტორიული ლიტერატურა, განაგრძობდა რა ა. იოანისიანის სპეციფიკურ ტრადიციას, აყალბებდა სომხეთის რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების ნამდვილ ისტორიას. ამ ნაშრომებში უგულებელყოფილია ამხანაგ **სტალინის**, როგორც ამიერკავკასიისა და სომხეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა შემქმნელის როლი, დავიწყებულნი არიან ნამდვილი ბოლშევიკები, როგორიცაა სურენ სპანდარიანი და სხვ., რომლებიც ამხანაგი **სტალინის** ხელმძღვანელობით პირველ ბოლშევიკურ უჯრედებს აგებდნენ სომხეთში.

ხანჯიანი სულ ბოლო დრომდე დაკავშირებული იყო სპეციფიზმის ერთ-ერთ დამაარსებელთან, ა. იოანისიანის ახლობელ ადამიანთან, ამჟამად გადასახლებულ კონტრრევოლუციონერ დ. ანანუნთან. როგორც ირკვევა, ანანუნს ინტიმური მიწერ-მოწერა ჰქონდა ხანჯიანთან. ანანუნის ერთ-ერთი წერილი იწყება მიმართვით „საყვარელო აღასი", და თავდება — „მოგიკ სალამი, ხელს გართმევ". ამ წერილში ანანუნი სთხოვს ხანჯიანს დაიცვას იგი დაშნაკების მთავრობასთან თანამშრომლობის ბრალდებისაგან.

ამ უკანასკნელ წლებში სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური ორგანო **„ხორურდაინ ჰაიასტანი"** არ ბეჭდავდა დაშნაკების წინააღმდეგ მიმართულ სტატიებს; ეს ხდებოდა ხანჯიანის პირდაპირი მითითებით.

„ხორურდაინ ჰაიასტანის" რედაქციის ყოფილი მდივანი რ. ატაიანი თავის განცხადებაში სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისადმი სწერდა:

„...1931-1935 წლების განმავლობაში „ხორურდაინ ჰაიასტანის" მუშაკნი არა ერთხელ აყენებდნენ საკითხს იმის შესახებ, რომ ამ წლების განმავლობაში დაშნაკური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები არ მაშუქდებოდა და დაშნაკების წინააღმდეგ თითქმის არც-ერთი სტატია არ დაიბეჭდა. როდესაც ჩვენ ამ საკითხზე ხანჯიანს მივმართავდით ხოლმე, იგი ყოველთვის ასეთ პასუხს გვაძლევდა: **„ახლანდელ პირობებში არავითარი საჭიროება არაა მოვათავსოთ სტატიები „დაშნაკცუტუნის" პარტიის წინააღმდეგ.**

ამხ. ა. ამატუნი

ეს ზედმეტი იქნებოდა... ეს სრულიად საჭირო არაა..."

ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკებთან ცალკეულ საუბრებში ხანჯიანი იმ აზრს ანვითარებდა, რომ სომხეთის კომპარტიის VI ყრილობის გადაწყვეტილება, სადაც „დაშნაკცუტუნის" პარტია დახასიათებულია, როგორც სომხეთის მებრძოლი ბურჟუაზიის პარტია, — სწორი არ არის, რომ ეს გადაწყვეტილება თითქოს ორგანიზაციის დეზორიენტაციას ახდენს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ დავას იმის შესახებ, იყო თუ არა „დაშნაკცუტუნის" პარტია წვრილბურჟუაზიული რევოლუციური პარტია განსაზღვრულ პერიოდამდე, თუ ეს პარტია ყოველთვის გამოხატავდა სომხეთის ბურჟუაზიის, სომხური მებრძოლი ნაციონალიზმის ინტერესებს, უკანასკნელ დრომდე ძალიან დიდი ადგილი ეჭირა სომხეთში, განსაკუთრებით ინტელიგენციის, ისტორიკოსებისა და მწერლების წრეში.

განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ გაძლიერებული ინტერესი ამ საკითხისადმი შედეგია არა უბრალო სურვილისა გამოერკვიათ ისტორიული ჭეშმარიტება, არამედ წარმოადგენს ნაციონალ-უკლონისტურ ელემენტთა ცდას, რომ „დაშნაკცუტუნის" პარტიის წვრილბურჟუაზიულობის იარლიყით, მის წარსულ ვითომდა რევოლუციურ დამსახურებათა იარლიყით და სხვ. გაეპარებინათ ნაციონალისტური შემარიგებლური დამოკიდებულება „დაშნაკცუტუნის" პარტიისადმი დღეს (ხმები: „სწორია").

და თუ ფაქტიურად სომხეთის კ.პ.(ბ) VI ყრილობის გადაწყვეტილება, როგორც ზოგ თავის სანდო პირთან გულახდილ საუბარში გამოსთქვამდა ხანჯიანი, გაუქმებული არ იყო „უხერხულობის გამო" და იმის გამო, რომ „მითქმა-მოთქმა არ ყოფილიყო", სინამდვილეში ხანჯიანი თავის დამოკიდებულებას „დაშნაკცუტუნის" პარტიისადმი ამყარებდა სომეხ ნაციონალ - უკლონისტთა თვალსაზრისთან სრული თანხმობით.

იყო თუ არ იყო „დაშნაკცუტუნის" პარტია, როგორც ამას იოანისიანი ამბობს, 20-30 წლის წინათ წვრილბურჟუაზიული პარტია, — განა ეს სწყვეტდა ან სწყვეტს ჩვენს დამოკიდებულებას „დაშნაკცუტუნის" პარტიისადმი?

ბოლშევიკები მუდამ იბრძოდნენ დაშნაკების წინააღმდეგ, სომეხი ხალხის ამ პირსისხლიანი მტრების წინააღმდეგ.

დაშნაკების პარტია — ეს სომხეთის კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის პოლიტიკური პარტიაა, სომეხი ვაჭრების, კულაკებისა და ხუცების პარტიაა. დაშნაკები — ეს რუსეთის ცარიზმის, საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტები არიან, მებრძოლი ბურჟუაზიული ნაციონალისტები, საბჭოთა სომხეთის მშრომელთა ყველაზე მძვინვარე მტრები არიან.

ამ პროფესიულ თავზეხელაღებულთა საზიზღარი ნაშთები დღესაც თავიანთ თავს „სოციალისტებს" უწოდებენ საზღვარგარეთ.

მაგრამ ვის მოატყუებენ ამით ისინი? მხოლოდ ნაციონალ-უკლონისტებს თუ, რომლებიც თვითონ ეძებენ და, როგორც ჩვენ უკვე დავინახეთ, იპოვეს დაშნაკებთან დაახლოვების, დაკავშირების გზები და საშუალებები.

ნ. სტეფანიანის კონტრრევოლუციურ ტროცკისტულ - ნაციონალისტურ ჯგუფში ყოფნისათვის დაპატიმრებული მნაც ხაჩატრიანი აჩვენებს:

„...ნაციონალ-კულტურული მშენებლობის საკითხზე ჩვენი ჯგუფი სთვლიდა, რომ ჩვენში სწორი პოლიტიკა არაა ბურჟუაზიული კულტურული მემკვიდრეობისა და ძველი კადრების გამოყენების მიმართ, რომ დაშნაკთა პარტია წარმოადგენს წვრილბურჟუაზიულ პარტიას და სომხეთის კომპარტიის VI ყრილობის მიერ დაშნაკების, როგორც სომხეთის ბურჟუაზიის მებრძოლი პარტიის, შეფასება — სწორი არ არის. **დაშნაკები ტყუილუბრალოდ გაწყვიტეს, მათი გამოყენება შეიძლებოდა.** მათ სარგებლობის მოტანა შეეძლოთ".

აი, თურმე, რაში მდგომარეობს დღევანდელი ყველა დავისა „დაშნაკცუტუნის" პარტიის სოციალური რაობის შესახებ! გამოაშკარავებულმა კონტრრევოლუციონერმა, ტროცკისტმა ნაციონალისტმა მნაც ხაჩატრიანმა გასცა საიდუმლოება, რომლის დამალვას ყველა ეს „თეორეტიკოსი" ცდილობდა ობიექტური ისტორიის გარსში.

„დაშნაკები ტყუილუბრალოდ გაწყვიტეს, შეიძლებოდა მათი გამოყენება. მათ სარგებლობის მოტანა შეეძლოთ".

ამაში მდგომარეობდა თვით ხანჯიანის „საიდუმლოებაც".

ეს „საიდუმლოება" მდგომარეობდა ხანჯიანის გეზში შექმნილიყო „ერთიანი საერთონაციონალური ფრონტი", ნაციონალ-უკლონისტები დაეკავშირებინენ ნაციონალისტურ კონტრრევოლუციურ ელემენტებს ქვეყნის შიგნითა და საზღვარგარეთ.

დაპატიმრებული კონტრრევოლუციონერი და ჯაშუში დ. სიმონიანი აჩვენებს:

„1931 წლის თებერვალს მე საზღვარგარეთიდან დავბრუნდი ერევანს. ხანჯიანთან პირველ შეხვედრისთანავე... მას, არშაკ ჯამალიანის თხოვნით, ვაცნობე „დაშნაკცუტუნის" პარტიის თვალსაზრისი საბჭოთა სომხეთისადმი დამოკიდებულების შესახებ. ხანჯიანმა კმაყოფილება გამოსთქვა, რომ „დაშნაკცუტუნის" პარტია სდგას საბჭოთა სომხეთთან მხოლოდ იდეური ბრძოლის პოზიციებზე, განაცხადა, რომ მათი კრიტიკა ჩვენი პოლიტიკურ - ეკონომიური ცხოვრებისა ჩვენთვის ფრიად სასარგებლოა და რომ, რასაკვირველია, საბჭოთა ხელისუფლების კატასტროფის შემთხვევაში, — დაშნაკები — ერთადერთი რეალური ძალაა, რომელსაც შეუძლიან სათავეში ჩაუდგეს ხელისუფლებას.

ხანჯიანმა სიტყვა-სიტყვით ასე სთქვა:

„რასაკვირველია, რამე რომ მოხდეს, მე და შენ გავიქცევით, და სომხეთის ხალხის ბატონ-პატრონი „დაშნაკცუტუნის" პარტია გახდება"...

კომენტარიები ზედმეტია.

○

„საერთო-ნაციონალური ფრონტის" შექმნის ანტიპარტიული კონტრრევოლუციური გეზით განისაზღვრება ხანჯიანის მოქმედების ხაზი როგორც დაშნაკების მიმართ, ისე „რამკავართა" საზღვარგარეთის სომხური კონტრრევოლუციური ბურჟუაზიულ - ნაციონალისტური პარტიის მიმართ.

ამხანაგმა **ბერიამ** თავის სტატიაში „გავაცამტვეროთ სოციალიზმის მტრები" ილაპარაკა ხანჯიანის კავშირზე „რამკავართა" პარტიის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწესთან — ა. ჩობანიანთან.

1932 წლის დამლევს ჩობანიანმა, გამოიყენა რა თავისი ჩამოსვლა პარიზიდან სომხეთში, კავშირი დაამყარა ხანჯიანთან, რომელმაც, როგორც ეს ჩობანიანის წერილებიდან სჩანს, თავაზიანად მიიღო იგი, დაამყარა კონტაქტი მასთან, მიწერ-მოწერა ჰქონდა მასთან პრაქტიკულად ახორციელებდა ჩობანიანის მთელ რიგ „საქმიან რჩევა-დარიგებას".

ჩობანიანთან კავშირს ხანჯიანი გულმოდგინედ უმალავდა პარტიას. ჩობანიანის დიდი მიწერ-მოწერა ხანჯიანთან შეიცავს პოლიტიკურ-ეკონომიური ხასიათის მრავალრიცხოვან საკითხებს და ამ მიწერ-მოწერას პირდაპირი რჩევა-დარიგებისა და მითითების ხასიათი აქვს. ჩობანიანი აძლევს ხანჯიანს მითითებას: „ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ამერიკის გაზეთი „პაიკარი" ბოლოს მოუღებდეს თავის უაზრო თავდასხმებს რამკავარებზე..." და შემდეგ, მეორე წერილში, ცოტა არ იყოს გულმოსული შენიშნავს: „განცვიფრებით შევნიშნე, რომ იმ პატაკშიაც კი..., რომელიც გამოქვეყნდა ოფიციალურ ორგანო „ხორურდაინ ჰაიასტანში" რამკავარები კვლავ დააყენეს დაშნაკების გვერდით, როგორც საბჭოთა ხელისუფლების მტრები..."

ერთ-ერთ შემდგომ წერილში ჩობანიანი თავხედურად იძლევა რჩევას: „ძალიან კარგს იზამთ, თუ თქვენს პრესაში და თქვენს სიტყვებში, შეძლებისამებრ, ნაკლებს ილაპარაკებთ დაშნაკებზე".

დ. სიმონიანის ზემომოყვანილ ჩვენებასთან ერთად, ჩობანიანის ეს წერილი იმას მოწმობს, რომ დაშნაკთა ლიდერი ჯამალიანი და თვალთმაქცი ხანჯიანი შეთანხმდნენ თავის როლებზე და ჩობანიანისა და სიმონიანის საშუალებით სრულ ურთიერთგაგებას მიაღწიეს მათ. ხანჯიანი სარგებლობს ჩობანიანის რჩევა-დარიგებით, უზიარებს მას თავის აზრს თანამედროვე სომხურ ლიტერატურაზე, მეგობრულად ყურადღებას აქცევს ჩობანიანის სურვილს გადმოსვენებული იყოს სომხეთში ზორაპეტ ანდრონიკის ცხედარი და სხვ.

უკანასკნელ წერილში, 1936 წლის ივლისს, ჩობანიანი, მიმდინარე წლის ნოემბრის საბჭოთა ყრილობასთან დაკავშირებით, ხანჯიანის წინაშე აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ საჭიროა წამოყენებულ იქნას სომხეთის საზღვრების გადასინჯვის მოთხოვნა; ჩობანიანი წინადადებას იძლევა „გასწორდეს ის უსამართლობა, რომელიც 1920 წელს მოხდა. მე ვლაპარაკობ, არა მარტო თურქეთის სომხეთის არარატის, სურმალუს, ყარსის, გადაცემაზე, არამედ ახალქალაქზედაც და ყარაბახზედაც, — ამ ნამდვილ სომხურ რაიონებზე... ისევე როგორც ნახიჩევანზე, რომელიც მუდამ სომხეთის ნაწილს წარმოადგენდა... თუ ეს უსამართლობა არ გამოსწორდა ნოემბრის საბჭოთა ყრილობაზე, სადაც ახალ კონსტიტუციას განიხილავენ და მიიღებენ, მაშინ ეს გამოსწორება შემდეგში სულ მთლად გაძნელდება... საზღვარგარეთელი სომხები იმედს გამოსთქვამენ, რომ გააკეთებთ ყველაფერს, რაც შესაძლებელია, რათა ეს საარსებო საკითხი მხედველობაში მიიღოს ნოემბრის ყრილობამ..."

ჩობანიანის თავხედობა იქამდე მიდის, რომ იგი პირდაპირ მიუთითებს ხანჯიანს ახალქალაქისა და აგრეთვე აჭარის რკინიგზის მშენებლობის საკითხის დაყენების „სტრატეგიულ მნიშვნელობაზე" საქართველოსთან მომავალ დამოკიდებულებაში.

ჩობანიანურ განწყობილებებს აშკარად ქადაგებდნენ სომხეთში რამკავართა პარტიის, ბეჭდვითი ორგანოები „აბაგა" და სხვ. 1931-32 წლებში თავისუფლად ვრცელდებოდა სომხეთში.

დღეს გამორკვეულია ხანჯიანის მრავალრიცხოვანი კავშირი აგრეთვე პარტიისა და სომხეთის ხალხის პირდაპირ მტრებთანაც ჩვენი ქვეყნის შიგნით.

ხანჯიანი [illegible] ამ კავშირში და დაუკავშირდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტებსა და ნაციონალისტებს, თვალთმაქცობდა და ატყუებდა პარტიას.

ხანჯიანს კავშირი ჰქონდა და დახმარებას უწევდა აიკუნს (1918 წლის უდღეური „სომხური კომუნისტური პარტიის" ერთ-ერთი დამაარსებელს). ბუნდის ამ დავიწყებული პარტიის ლიკვიდაციის შემდეგ, აიკუნი შემოძვრა ჩვენს პარტიაში, რათა ტროცკიზმს მიემხრობოდა, ეს კონტრრევოლუციონერ - ტერორისტი ამჟამად გადასახლებულია, მაგრამ ხანჯიანს ეს ხელს არ უშლიდა ყოველგვარი დახმარება გაეწია მისთვის. გადასახლებიდან აიკუნი სწერს პარტიის წევრს გრიგოლ ვართანიანს: „დაუყოვნებლივ ტელეგრაფით უნდა გადმომიგზავნო ფული შეუთანხმე პარტიას შენი დაპირების შესრულება. ძალიან გთხოვ აგრეთვე მოაგონო ცენტრალური კომიტეტის მდივანს ხანჯიანს ყველა მისი დაპირებანი და ჰკითხე, რატომ არ მიპასუხა ჩემს წერილზე; დღეს წერილს მივწერ ხანჯიანს".

ვართანიანის ახსნა-განმარტებით გამორკვეულია, რომ ხანჯიანმა „უხერხულად" ჩასთვალა აიკუნისათვის ფული უშუალოდ გადასახლებაში გადაეგზავნა და გადასწყვიტა აიკუნის ოჯახისათვის გაეგზავნა მოსკოვში.

ხანჯიანს კავშირი ჰქონდა დახვრეტილ კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტ ჯაშუშ ტერ-ვაჰანიანთან, რომელიც ჩაება აქტიურ მუშაობაში ლიტერატურულ ფრონტზე და სომხეთის ნაციონალ - კულტურულ მშენებლობაში. ტერ-ვაჰანიანისათვის მან შექმნა სპეციალური გამომცემლობა სომხეთის ეგრეთწოდებულ კულტურის სახლთან მოსკოვში. ტერ-ვაჰანიანი რამდენჯერმე ჩამოვიდა ერევანში, იყო ხოლმე ხანჯიანთან. გამორკვეულია, რომ ხანჯიანმა 1935 წელს ტერ-ვაჰანიანის განკარგულებაში გადასცა 30 ათასი მანეთი. ამ ტროცკისტი ბანდიტის ძმა, ფარული ტროცკისტი გ. ვაჰანიანი ხანჯიანმა წამოაყენა **„ხორურდაინ ჰაიასტანის"** რედაქტორად, ხოლო შემდეგ რაიკომის მდივნად.

ცნობილია, რომ ტროცკისტ-ზინოვიეველები საზოგადოდ კარგი თვალით უყურებდნენ ხანჯიანს, მაგალითად, მას „ესტუმრა" ევდოკიმოვი.

ისე გამოდის, რომ ყველა ეს კონტრრევოლუციონერი არამზადა ხანჯიანში თავის დამცველს გრძნობდა, მას დახმარებისათვის მიმართავდა — მისი მხრით ყურადღებისა და გულისხმიერი დამოკიდებულებას პოულობდა. ყველა ამ ადამიანებში ხანჯიანი ხედავდა „სომხური კულტურის" მატარებლებს და ცდილობდა შეექმნა მათთან გულთბილი ურთიერთობა, დაემყარებინა თანამშრომლობა.

ყველა ეს ფაქტი და დოკუმენტი, რომელიც ხანჯიანის თვითმკვლელობის შემდეგ გამოაშკარავდა, ცხადყოფს ხანჯიანის მთელ სამარცხვინო გზას, ყალბისმქნელობის, თვალთმაქცობისა და ვერაგობის გზას.

ჩაუდგა თუ არა სათავეში სომხეთის კომპარტიის ც. კ-ის ხელმძღვანელობას, ხანჯიანმა გარს შემოიხვია ნაციონალისტები, ტროცკისტები, ანტიპარტიული ადამიანები, ისინი პასუხსაგებ ხელმძღვანელ სამუშაოზე აწინაურებდა გაზრდილი, ზრუნავდა, ხელს აფარებდა და მხარს უჭერდა კონტრრევოლუციონერებს.

ტერორისტი და ბანდიტი, არამზადა ნ. სტეფანიანი ხანჯიანმა [illegible] განსახკომის და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის დირექტორად.

გამცემი და ჯაშუში, გარეწარი დ. სიმონიანი მას დააწინაურა ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად და სომხეთის საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარედ.

პარტკოლეგიის მდივნად [illegible] კონტრრევოლუციონერი — ტროცკისტი გალოიანი.

პარტიის ცენტრალური ორგანოს „ხორურდაინ ჰაიასტანის" რედაქტორად დაწინაურებული იყო თვალთმაქცი ტროცკისტი გ. ტერ-ვაჰანიანი.

ხანჯიანი ყოველნაირად ხელს უწყობდა და აქეზებდა მოდაშნაკო ნაციონალისტ ლიტერატორთა ჯგუფს, რომელსაც მეთაურობდა პარტიის ყოფილი წევრი ბაკუნცი.

ჩვენს წიგნის ბაზარზე უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოსული ტროცკისტული, დაშნაკური ანტისაბჭოთა წიგნები ალიზანის, ტოტოვენცის, ვანანდეცის და სხვათა წინასწარ პირადად გასინჯული და დასაბეჭდად მოწონებული იყო ხანჯიანის მიერ, მიუხედავად ცალკეულ კომუნისტთა — ბეჭდვითი სიტყვის და გამომცემლობების მუშაკთა — შედავებისა.

კვლევაძიების მასალებით დამტკიცებულია, რომ კონტრრევოლუციური ნაციონალისტური ჯგუფი, რომელსაც პარტიის ყოფილი წევრი მწერალი ა. ბაკუნცი და სხვები მეთაურობდნენ დაკავშირებული იყო კონტრრევოლუციონერ - ტროცკისტ ნ. სტეფანიანთან და მის ჯგუფთან, დაკავშირებული იყო და მფარველობას პოულობდა დახვრეტილ ტერორისტ - ტროცკისტ - ჯაშუშთან — ტერ-ვაჰანიანთან, მას მხარს უჭერდა და ყოველნაირად აქეზებდა ა. ხანჯიანი.

დაპატიმრებული ბაკუნცი შემდეგს ჩვენებას იძლევა:

„ჩვენი ჯგუფის საქმიანობა მთლიანად მიმართული იყო საკ. კ.პ. (ბ) ნაციონალური პოლიტიკის წინააღმდეგ და დასაპირისპირებლად პარტიის ლოზუნგისა „ფორმით ნაციონალური და შინაარსით სოციალისტური კულტურა" ჩვენ ვიცავდით „ნაციონალურ თვისებათა კონსოლიდაციის" თეზისს, პოლიტიკურად ეს ნიშნავდა: კულტურა „ფორმით ნაციონალური, შინაარსით ნაციონალისტური".

პარტიის წევრების ამხ. ჩუბარისა და დაბაგიანის მოწმობით, ხანჯიანი ჯგუფის ამ კონტრრევოლუციურ თეზისს სწორად სთვლიდა და მოითხოვდა ამ თეზისის დამცველი სტატიის დაბეჭდვას.

ესწრაფოდა რა კულტურის საკითხთა ერთპიროვნულ მონოპოლიურ ხელმძღვანელობას, ხანჯიანი ამ უბანს არც-ერთ პარტიულ მუშაკს არ აკარებდა. ეს მონოპოლია ხანჯიანს სჭირდებოდა, უწინარეს ყოვლისა, თავისი ზემოაღნიშნული „კადრების" განსალაგებლად.

ცუდად გამოიყურებიან ის კომუნისტები, რომლებიც ამ უბანზე მუშაობდნენ. აიღეთ, მაგალითად, ჩვენი პატივცემული ძველი წევრი პარტიისა, ამხ. ჰაიკ გიული—ქევხიანი; ყველა ეს უმსგავსოება ხომ მის გარშემო ხდებოდა (**ხმები ადგილიდან: „სწორია, სწორია"**). უნდა აღვიაროთ, რომ ამხ. გიული ქევხიანი ყურებს აპარტყუნებდა.

პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკთა მრავალრიცხოვან სიგნალებს ნაციონალისტურ ელემენტთა აშკარა კონტრრევოლუციური მუშაობის შესახებ ხანჯიანი უყურადღებოდ სტოვებდა; ეს ცოტაა, ამ სიგნალების წინააღმდეგ, იგი იზიარებდა კონტრრევოლუციონერ ნაციონალისტებს, აქეზებდა მათ და თვალთმაქცურ მითითებებს აძლევდა.

ჯერ კიდევ 1930 წელს ხანჯიანს აფრთხილებდნენ, ვანანდეცი პარტიის პოლიტიკის ძირითად საკითხებზე დაშნაკურ კონცეპციას ავითარებსო. ახლა გამორკვეულია, რომ ამ სიგნალების პასუხად ხანჯიანმა მოიხმო ვანანდეცი და ურჩევდა მას: „ბიჭუნებთან ასეთ რამეებზე ნუ ლაპარაკობო".

პირდაპირ სიგნალებზე ტერორისტ - ტროცკისტ ნ. სტეფანიანის შესახებ ხანჯიანი ამბობდა: „ეს ცარიელი ლაპარაკია, ლაყბობაა და აქ არაფერი სერიოზული არ არისო".

„იქმნებოდა შთაბეჭდილება, — აჩვენებს ალაზანი, — რომ ხანჯიანი თანაგვეგრძნობს ჩვენ, რომ იგი ჩვენს მხარეზეა და რომ მხოლოდ თავისი ოფიციალური პოსტი აკავებს მას ისეთივე მოქმედებათაგან, როგორიც ჯგუფის წევრთა მოქმედებაა".

ხანჯიანის განკარგულებაში იყო ვრცელი მასალები გამცემ დ. სიმონიანზე, მაგრამ ხანჯიანმა ისინი პარტიის დაუმალა. 1932 წ. ივლისს სომხეთის კ.პ.(ბ) ც.კ.-ში შემოვიდა პარტიის წევრის მეგრაბიანის განცხადება, რომელშიაც იგი სწერდა ტერ-სიმონიანის ტროცკისტულ მუშაობაზე საზღვარგარეთ და მის იმ გეგმებზე, რომ სსრ კავშირში არ დაბრუნებულიყო. ხანჯიანმა მოიხმო ტერ-სიმონიანი, რომელიც იმ დროისათვის ჩამოვიდა ერევანში, და გალოიანის დასწრებით უთხრა:

„...რამდენადაც შენზე მასალა შემოვიდა, ფორმალურად მე და გალოიანმა ხელი უნდა მოვკიდოთ ამ საკითხს, მეგრაბიანის განცხადება არ ერყევს ჩვენს ნდობას შენდამი. ჩვენ დიდიხანია და კარგად გიცნობთ, ხოლო მეგრაბიანი ძველი მოკინკლავეა".

(დ. ტერ-სიმონიანის ჩვენებიდან).

სტეფანიან-ბაკუნცის ნაციონალისტური ტროცკისტული ჯგუფის საქმეზე დაპატიმრებულმა და პასუხისგებაში მიცემულმა ვანანდეცმა უჩვენა:

„...პოლიტიკაში ჩვენი ჯგუფი გადაჭრით იცავდა ხანჯიანს, ხედავდა მასში სომხური ნაციონალური კულტურის, კერძოდ, ლიტერატურის ინტერესთა დამცველს. რაც შეეხება ბრძოლას ლიტერატურაში ჩვენი ნაციონალისტური გზის წინააღმდეგ ჩვენ ხანჯიანი მიგვაჩნდა ლიტერატურის საკითხთა ჩვენებურ გაგებასთან ახლოს მდგომად".

[illegible] ბაკუნცი, მთლიანად ხელს უწყობდა სომხეთის კ.პ.(ბ) ყოფილი მდივანი ხანჯიანი, რომელიც არაერთხელ გამართულ საუბრებში,... ჩვენ სოლიდარობას გვიცხადებდა...".

ხანჯიანის უახლოესი მეგობრები, ფარული ტროცკისტი გალოიანი, ამოიანი, ატაიანი, გ. ახაიანი და სხვ. აშკარა კონტრრევოლუციურ საუბრებს ეწეოდნენ ხანჯიანის დასწრებით. „ხორურდაინ ჰაიასტანის" რედაქციის ყოფილი თანამშრომელი ატაიანი, ამბობს რა თავის შთაბეჭდილებებს მწერალთა მოსკოვის ყრილობის შესახებ, ხანჯიანისთვის გაგზავნილ წერილში საზიზღარ ნაციონალისტურ ანტიქართულ პროვოკაციას ეწეოდა.

საქმიანობის არეს უფართოვებდა რა ისეთ ადამიანებს როგორიცაა ბანდიტი სტეფანიანი, ჯაშუში სიმონიანი, კონტრრევოლუციონერი ბაკუნცი და სხვ., ხანჯიანი პირველი ნაბიჯებიდანვე ყოველნაირად ნერგავდა კინკლაობას, ინტრიგებს, ატამანობას და სხვ.

მაგრამ ეს საქმე დიდხანს არ გაგრძელებულა, 1931 წლის ოქტომბერს საკ. კ.პ.(ბ) ც.კ.-მა მტკიცედ გამოასწორა ამიერკავკასიის პარტორგანიზაციების სომხეთის, აზერბეიჯანისა და საქართველოს ორგანიზაციების უხეში პოლიტიკური შეცდომები სოფლის ხელმძღვანელობისა და ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გატარების დარგში. ამავე გადაწყვეტილებით. შეცვლილ იქნა ა-კ სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობა.

საკ. კ.პ.(ბ) ა-კ სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელობას, სტალინური ც.კ.-ის ნებით, პარტიის ბელადის ნებით, სათავეში ჩაუდგა ამხანაგი **ლავრენტი ბერია (ტაში)**. ხანჯიანმა მაშინ იგრძნო, რომ მდგომარეობა სამხარეო კომიტეტში მკვეთრად შეიცვალა, რომ უკვე აღარ არის არც უხელო ორახელაშვილი, არც თვალთმაქცი ლომინაძე.

ხანჯიანი მიხვდა, რომ ამხანაგ **ბერიას** ბოლშევიკური ხელი მარჯვე და მაგრად ურტყამს, და აირჩია გამოცდილი თვალთმაქცობისა და მოტყუების გზა.

ხანჯიანი პარტიისადმი ერთგულებას ფიცულობდა, ნიანგის ცრემლებს ღვრიდა, როცა მის შეცდომებს ასწორებდნენ, ხოლო საქმით, სომხეთში მთელი თავისი მუშაობის მანძილზე, თვალთმაქცისათვის მისაწვდომი ყველა გზით ნერგავდა ა-კ სამხარეო კომიტეტის საწინააღმდეგო და ანტიქართულ განწყობილებას.

თქვენ გახსოვთ, რომ 1934 წელს პარტიის სამხარეო კომიტეტმა მტკიცედ მიუთითა სომხეთის კომპარტიის ც.კ-ს შეცდომებზე სომხეთის მთიან რაიონებში, სადაც საქმე იქამდის მივიდა, რომ გლეხები ათასობით სტოვებდნენ ძველ საბუდრებს და მიდიოდნენ, სადაც კი შეეძლოთ. პარტიის სამხარეო კომიტეტმა უდიდესი დახმარება გაუწია სომხეთის კომპარტიას. სამხარეო კომიტეტისა და ამხანაგ **ბერიას** უშუალო ხელმძღვანელობით, მათი მუდმივი ზრუნვით, ეს რაიონები მოკლე ხანში ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე რაიონებად გადაიქცნენ. გალოიანი შემდეგნაირად „აცნობებს" ხანჯიანს საკ. კ.პ.(ბ) ა-კ სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილებას სომხეთის მთიანი რაიონებისათვის დახმარების გაწევის საკითხზე: „რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ცუდი როდია, თუ ყოველივე ეს ნამდვილად გულწრფელად და დახმარების მიზნით კეთდება".

ამ ა-კ სამხარეო კომიტეტის საწინააღმდეგო ინფორმაციაში, როგორც წვეთ წყალში, ასახულია არა მარტო გალოიანის, არამედ აგრეთვე ხანჯიანის ანტიპარტიული სახე.

ანტიპარტიულ ელემენტებთან თავისი კავშირის განსამტკიცებლად ხანჯიანი არავითარ საშუალებას არ თაკილობდა. ხანჯიანმა დააკანონა [illegible] სახელმწიფო დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციათა სახსრების ხარჯვაში. ეს უმსგავსი დამოკიდებულება სახელმწიფოსთან, პარტიასთან, საბჭოთა ხელისუფლებასთან, დამოკიდებულება, რომელიც წარმოშობდა, ასაზრდოებდა და ანვითარებდა, ნაციონალიზმს, გამოაშკარავდა და სამხარეო კომიტეტის შემწეობით გამოსწორდა.

ხანჯიანი თავისი „ფინანსიური პოლიტიკით" ხრწნიდა ჩვენს სამეურნეო მუშაკებს და ცდილობდა შეექმნა სრულიად შეუწყნარებელი, არანორმალური ურთიერთობა ჩვენი სამეურნეო აპარატის პრაქტიკაში. განა ცხადი არ არის რომ სამეურნეო სეპარატიზმისა და წამგლეჯობის ეს თვისებანი, „სპეციფიკოსებისაგან" მემკვიდრეობით მიღებული, რაც ელემენტარული სახელმწიფოებრივი დისციპლინის უმსგავსო დარღვევას იწვევდა, არ შეიძლება ბოლშევიკებმა სხვანაირად შეაფასონ, თუ არა როგორც პროვოკაცია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, პარტიის წინააღმდეგ. მოსკოვი და ტფილისი ფულს არ იძლევიანო, ხოლო „ჩვენ" ფულს მაინც ვშოულობთ და სახალხო სახლს, ქუჩებს, სკოლებს და სხვ. ვაშენებთო. ხომ ხედავთ, თუ როგორ ვიღწვით „ჩვენ" სომხური კულტურისათვის, სომხეთის მშენებლობისათვის!

სახალხო სახლის საკითხი ხანჯიანმა შეგნებულად გადააქცია ნაციონალისტების იარაღად ჩვენს პარტიასთან საბრძოლველად. რომელი ბოლშევიკი იყო ან შეიძლებოდა თუ გინდ ოდნავ წინააღმდეგი ყოფილიყო კარგი დიდი თეატრის მშენებლობისა? არასოდეს და არავინ! ხოლო ხანჯიანი თავს ასაღებდა ამ მშენებლობის ერთადერთ ქომაგად. ხანჯიანს სახალხო სახლის მშენებლობის საკითხი არასოდეს არ დაუყენებია — არც საკ. კ.პ.(ბ) ა-კ სამხარეო

გაგრძელება იხ. მე-3 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიულ თემაზე

პარტმომაგრებული მეხმარება

აბრეშუმის ფაბრიკის საქსოვ საამქროში ბევრნი არიან მოწინავე მუშები, რომელნიც გულწრფელად ისწრაფვიან პარტიისაკენ. მათი ნაწილი გაერთიანებულია თანამგრძნობთა ჯგუფში და გულმოდგინედ ემზადებიან პარტიაში შესასვლელად.

მეც ერთი მათგანი ვარ და მათთან ერთად ვემზადები პარტიის რიგებში შესასვლელად.

თანამგრძნობთა ჯგუფში შესვლამდე, პოლიტიკურად მეტად ჩამორჩენილი ვიყავი, არ ვიცნობდი ბოლშევიკურ პარტიის ისტორიის უმნიშვნელოვანეს მომენტებს. ვერ ვერკვეოდი მიმდინარე პოლიტიკის ელემენტარულ საკითხებში, არ ვიცნობდი რუსეთისა და საქართველოს სახელოვან მწერლების ნაწარმოებს და სხვ. თანამგრძნობთა ჯგუფში შესვლის შემდეგ ჩემი ცხოვრება ორგანიზებული და შინაარსიანი გახდა. ერთი ორად მომემატა მუშაობის ენერგია, ჩემს კომპლექტში ყველა სტახანოველი გახდა, გეგმებს ყოველთვიურად 120-130 პროცენტით ვასრულებდით, წუნი მინიმუმამდე შევამცირეთ. გადამიყვანეს ჩამორჩენილ კომპლექტში მდგომარეობის გამოსასწორებლად, უკვე ორი კვირაა აქ ვმუშაობ და წარმატება არის, მე-6 კომპლექტი, რომელიც თვიურ გეგმას 80 პროცენტამდე ძლივს ასრულებდა, ამ თვეში 100 პროცენტით ასრულებს, წუნიც საგრძნობლად შემცირდა. აქ ცოტანი იყვნენ სტახანოველები. ახლა უმრავლესობა სტახანოვურად მუშაობს. ასეთია ჩემი საწარმოო აქტიობა.

ამხ. დ. მურჯიკნელი (პარტმომაგრებელი) მზრუნველობით და გულმოდგინებით მეხმარება იდეური დონის ამაღლებისა და პარტიულ დავალებათა შესრულების საქმეში. ჩვენ სისტემატიურად ვხვდებით ერთმანეთს ფაბრიკის პარტკაბინეტში, ვკითხულობთ გაზეთებს, წიგნებს, ჟურნალებს. თუ თემა მაქვს დასამუშავებელი, მაშინ ამ თემის ირგვლივ ვბაასობთ, ის მიმარტავს ზოგიერთ საკითხებს, რომლებიც ჩემთვის გაურკვეველია, და აგრეთვე მეხმარება კონსპექტის შედგენაში. ჩვენ ერთად წავიკითხეთ პარტიის წესდება და პროგრამა, დავამუშავეთ კონსტიტუციის პროექტი, სისტემატიურად ვკითხულობდით და ვკითხულობთ „პრავდის" მოწინავეებს პარტიაში მიღების განახლების შესახებ. დიდი ინტერესით წავიკითხეთ პუშკინისა, ნინოშვილის და ოსტროვსკის ნაწერები.

ამ ბოლო დროს გამომყვეს მე-10 კომპლექტში აგიტატორად, აგრეთვე დამავალეს რემდასის უჯრედის ხელმძღვანელობა, თავდაცვა-ავიაქიმის ტექნიკური მდივნობა და კედლის გაზეთში მუშაობა. მართალია ვმუშაობ, დაუზარებლად ვასრულებ ამ დავალებებს, მაგრამ ჩემი აზრით უმჯობესია რამდენიმე დავალების ნაცვლად ერთი ან ორი დავალება მქონდეს, რათა უფრო დამაჯერებლად შევასრულო იგი, და ამას გარდა კიდევ დამრჩეს საკმაო დრო ჩემ თავზე მუშაობისათვის. პარტიაში მიღება დაიწყო, მე მინდა მეტი ვიმუშაო იდეური დონის ამაღლებისათვის, საჭიროა მეტი დრო, რომ ვიკითხო წიგნი და გაზეთი.

აშკარად ვგრძნობ, რომ მეტი მუშაობა მჭირდება იდეური დონის ამაღლებისათვის. აგიტატორად მუშაობის დროს ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდები ხოლმე, როდესაც ჩემთვის გაურკვეველ საკითხებს წავაწყდები. აგრეთვე ვგრძნობ, რომ პარტიის წესდება და პროგრამა არა მაქვს კარგად შესწავლილი. ამიტომ გადავსწყვიტე, ხელმეორედ გულდასმით დავამუშავო და შევითვისო პარტიული წესდება.

კარგი იქნება თუ პარტორგანიზაცია გამგზავნის ორჯონიკიძის სახ. რაიკომთან არსებულ აგიტატორთა კურსებზე, სადაც გავეცნობი მოწინავე აგიტატორთა გამოცდილებას და საგიტაციო მუშაობის მეთოდს.

ალ. ქუზოვი.

◇ ◇ ◇

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების 21 მუხლის შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და ამ დადგენილებათა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დებულების 21 მუხლი (საქ. სსრ. კან. კრ. 1931 წ. მე-20 №-ი, მუხ. 208) მიღებულ იქნეს შემდეგ რედაქციით:

„21. დამოუკიდებელ ადმინისტრაციო - სამეურნეო ერთეულებად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოებს შეუძლიათ იმ სავალდებულო დადგენილებებში, რომლებითაც რეგულირდება წესრიგი საჯარო ადგილებში და მოძრაობა ქუჩებში და რომლებშიაც ზედმიწევნით აღნიშნულია დარღვევის შედგენილობა და ამისათვის დანიშნულია ჯარიმა განსაზღვრული რაოდენობით, ხოლო, ამასთანავე არა უმეტეს სამი მანეთისა, — დააწესონ ამ ჯარიმის გადახდევინება დარღვევის ადგილსავე".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ილიუშინი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. ქლენტი.

1936 წ. ოქტომბრის 11.
ტფილისი.

◇

მესაბოტაჟეები

სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს შორის აღმოჩნდნენ ისეთნი, რომლებმაც არ შეასრულეს მთავრობის გადაწყვეტილება რაიონებში სამუშაოდ წასვლაზე.

ასეთები არიან: რომან კონსტანტინეს-ძე [illegible] (კვების მრეწველობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი), ტაკო პავლეს-ძე გუნცაძე (ზოოვეტინსტიტუტი), აშხენ ივანეს-ასული თაიროვა (ტროპიკული ინსტიტუტი), დავით ნესტორის-ძე კობახიძე (მცენარეთა დაცვის ინსტიტუტი), მიხეილ კონსტანტინეს-ძე გურგენიძე (საქართველოს მეცხოველეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი).

ზემოხსენებული პირები სამუშაოს ადგილზე წაუსვლელობისათვის მიცემული არიან პასუხისგებაში.

მზადება საბჭოების ყრილობისათვის

ხულოს რაიონის საბჭოთა ყრილობა

ხულო, 2 ნოემბერი. დილით ადრე მთის გზებით საუცხოოდ მორთულ საკოლმეურნეო ცხენებს მოაგელვებენ მხედრები. ხულოს რაიონის საბჭოთა XII ყრილობის დელეგატები მოიჩქარიან რაიონულ ცენტრში ყრილობის გახსნაზე. ხულოს ქუჩები სადღესასწაულოდ მორთულია. მოედანზე მუსიკა უკრავს.

1 ნოემბერს საღამოს გაიხსნა საბჭოების სარაიონო ყრილობა, მიძღვნილი სტალინური კონსტიტუციის პროექტის განხილვისადმი.

ყრილობაზე ჩამოვიდა 120 დელეგატი, რაიონის ყველაზე შორეული სოფლებიდან.

ყრილობის სტუმრებს შორის არიან — მთელს აჭარაში ცნობილი სახალხო მომღერლები — 75 წლის მეჩონგურე კოჩხელი და 80 წლის აბაშიძე, რომლებმაც მთებსა და ხეობებზე 40 კილომეტრზე მეტი გამოიარეს.

დელეგატთა გამოსვლები აღსავსე იყო უსაზღვრო სიყვარულით დიდი მასწავლებლისადმი, მშრომელთა მამისა და მეგობრისადმი, მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციის შემომქმედისადმი — მშობლიური **სტალინისადმი.**

რევოლუციამდე ხულოს რაიონში არ იყო არც ერთი წერა-კითხვის მცოდნე, თუ არ ჩავთვლით ბეგ ხიმშიაშვილს. მთელს რაიონში ერთი ექიმიც არ იყო. სილატაკე, უბადრუკობა სჩანდა ყოველ ფეხის გადადგმაზე. არც ერთ სოფელში არ იყო არც ერთი ორ-სართულიანი სახლი. ხულო უკულტურობისა და ფანატიზმის კერა იყო, სოფლის მამასახლისი და მოლა იყვნენ მთელი მოსახლეობის ბედიღბლის სრულუფლებიანი გამგებელნი.

ახლა სულ სხვა გახდა ხულო, საბჭოთა ხელისუფლების მიერ ახალი ცხოვრებისათვის აღორძინებული.

პიონერსადგურმა შუქი მისცა ხულოს მშრომელთ და ახლო მდებარე სოფლების კოლმეურნეებს.

30 ახალმა ერთ და ორსართულიანმა მოხდენილმა შენობამ დაამშვენა რაიონის ცენტრის შუაგული. ხულოში არის საავადმყოფო, აფთიაქი, სკოლა, ფოსტა, ტელეგრაფი და სხვ.

ხულოში ამას წინათ გაიხსნა ხმოვანი კინო-თეატრი, შეიქმნა საკოლმეურნეო თეატრი, გაიხსნა ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაღი, მუშაობს რადიოკვანძი, გაიყვანეს წყალსადენი, აშენდა აბანო ნომრებით.

რაიონში არის 122 სკოლა, პედაგოგიური ტექნიკუმი, 14 ქოხ-სამკითხველო, ორი სასოფლო კლუბი.

ხულოს კოლმეურნეთა ვაჟები და ქალიშვილები ტფილისის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ. კოლმეურნეები ამაყობენ თავისი სოფლის შვილებით — ინჟინრებით, ტექნიკოსებით, პედაგოგებით, რომლებიც მუშაობენ აჭარის საწარმოებში, სკოლებსა და საავადმყოფოებში.

ხულოს რაიონის სოფლებში ახლა არის 14 სამედიცინო პუნქტი, რომლებშიაც 22 ექიმი მუშაობს. თვითეულ სოფელში არის სკოლა.

რაიონის წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურის — თამბაქოს მოსავლიანობა თითქმის ერთი-ორად გაიზარდა.

ვეღარ იცნობთ წინათ დაჩაგრულ აჭარელ ქალს. 1.900 აჭარელი გოგონა სწავლობს სკოლებში.

საბჭოთა რესპუბლიკურ ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევის შემდეგ, დელეგატები წავიდ-წამოვიდნენ სოფლებში ახალი შემოქმედებითი ენტუზიაზმით, აღფრთოვანებულნი უდიდესი ისტორიული დოკუმენტით — სტალინური კონსტიტუციის პროექტით, რათა კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ კოლმეურნეობათა განმტკიცებისათვის, ბედნიერი შეძლებული ცხოვრებისათვის. (საქინ).

ნაკისრ ვალდებულებას ანაღდებენ

წულუკიძის რაიაღმასკომმა სტალინური კონსტიტუციის პროექტის განხილვა პირველად თავის პლენუმზე მოაწყო. ამის შემდეგ კონსტიტუციის პროექტი სასოფლო საბჭოების პლენუმებზე განიხილეს. გარდა ამისა, კონსტიტუციის პროექტის განხილვა მოხდა ამომრჩეველთა საუბნო კრებებზე და ცალკე კოლმეურნეობებში.

პროექტის განხილვისას ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ერმილე ფაილოძემ შეიტანა დამატება, რომ შრომის უნარმოკლებულ კოლმეურნეს დახმარება მიეცეს განურჩევლად მისი ასაკისა. ნახახულევის საბჭოს წევრმა ამხ. კობეშავიძემ შეიტანა შესწორება, რათა არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდებმა 16 წლიდან, რადგან ისინი დაშვებული არიან კომკავშირის რიგებში და სას.-სამ. არტელის წესდებით არტელის წევრადაც მიიღებიან.

კონსტიტუციის პროექტის განხილვა რაიონში მტკიცედ დაუკავშირდა სასოფლო საბჭოების, სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების მუშაობის გარდაქმნას, სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებას, მოსავლის აღებას, კოლმეურნეთა შეძლებული კულტურული ცხოვრების კიდევ უკეთ მოწყობისათვის ბრძოლას.

გარდა ამისა, სოფსაბჭომ მოსავლის აღების გეგმა 15 ოქტომბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა. კარგად მუშაობენ სასოფლო საბჭოს სექციებიც.

კონსტიტუციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდება წარმატებით მიმდინარეობს ლანირ-ქვიტირის, გუბის და მათხოჯის სას. საბჭოებში.

უნდა აღინიშნოს, რომ გორდის, კინჩხის და ხიდის სოფსაბჭოებს თითქმის არაფერი გაუკეთებიათ სტალინური კონსტიტუციის პროექტის განხილვა-შესწავლის საქმეში. აღნიშნული საბჭოებიდან არ შემოსულა არცერთი წინადადება კონსტიტუციის პროექტის განხილვის ირგვლივ.

რაიკომის ბიუროს და რაიაღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, ამ სოფსაბჭოებისათვის პრაქტიკული დახმარების გასაწევად გაიგზავნენ რაიონის პასუხისმგებელი მუშაკები.

გუბის მშრომელებმა მოითხოვეს, რომ საბჭოს განაწესში ერთ-ერთ გადაუდებელ საკითხად შეტანილი იქნას საშუალო სკოლის შენობის აგება. სოფ. ნახახულევის მე-2 უბნის მცხოვრებმა მოხუცმა კოლმეურნემ ოქროპირ კობეშავიძემ მოითხოვა, რომ საბჭომ მე-2 უბანში აგოს წითელი კუთხის კარგი შენობა, აგრეთვე დროულად შეაკეთოს საუბნო გზები, რომლებიც ძალიან ცუდ მდგომარეობაშია.

ი. ჭაშიბაძე.

ჭიათურის მარგანეცის წარმოების ამხ. ლ. ბერიას სახელობის მაღაროს სადეპუტატო ჯგუფის ხელმძღვანელი ამხ. საშა ბაზღაძე იწერს მუშების ახალ დავალებებს. ფოტო რ. აკოფოვისა.

გიორგი ქუჩიშვილი

ფეიქართა სიმღერა

1.
ჰა, ინათა!
ცის კიდური
აკრიალდა,
როგორც მინა!
მზემ წაშალა
ღამის მური,
მზემ ალამი
გადმოჰფინა!

2.
გაღვიძებულ
მუშურ უბანს
აზმაურებს
გუნდი ქალთა;
ეს საქარხნო
სიმღერაა
და შეკრება
შრომის ძალთა!

3.
აი, ჰხედავთ:
ეს გიგანტი
ამ ერთ წელში
აღიმართა!
შედით,
ნახეთ,
გაეცანით,
ნუ ჩერდებით
შორით კართან!

4.
და ეს ჩვენი
სიამაყე,
ეს ვეება
საფეიქრო,
რომ ჩამორჩეს
მოძმე ქარხნებს,
ფიქრადაც არ
გაიფიქროთ!

5.
[illegible]
მამაკაცებს
[illegible]
გუნდი ქალთა,
თითისტართა
ცეკვა არის
და ელვების
სროლა თვალთა!

6.
ყური უგდეთ
ქარხნის გუგუნს,
ყური უგდეთ
შრომის ჯართა:
„დებო!
ჩვენი საფეიქრო
სარეკორდო
ფერხულს ჰმართავს
არ ჩამოვრჩეთ,
გავუტოლდეთ,
სტახანოველ
დობილ მართას,
ვინც ტექნიკა
აითვისა,
ვინც ნორმაზე
ზედმეტს ართავს!"

7.
და ეს ჰიმნი,
ეს სიმღერა
აწკრიალებს
ქარხნის მინებს;
ხალისიან
შრომის კერას
სოცშეჯიბრი
აგვირგვინებს!

◇

ციტრუსოვანთა და ხილის გაზიდვა

(წინადადების წესით)

უაღრესად დიდი მიღწევები აქვს ციტრუსისა და ხეხილის გაშენების დარგში ორდენოსან საქართველოს. ყოველწლიურად საქართველოდან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეში იგზავნება 15—20 ათასი ვაგონი ხილი. ჩვენი ქვეყნის ხილი ამშვენებს საბჭოთა კავშირის მშრომელთა სუფრას.

როგორია გვაქვს მოწესრიგებული ხილის გაზიდვის საქმე? ჩვენ გვაქვს ყველა შესაძლებლობა, რომ შევასრულოთ ხილის გაზიდვის ამოცანა, მაგრამ საამისოდ არ ვარგა აპარატი, რომელმაც უნდა გადაზიდოს ეს ძვირფასი პროდუქტი — შორეულ კუთხეებში. დღემდე ამ საქმეში მრავალ სიმახინჯეს ჰქონდა ადგილი.

არტელები ახდევინებდნენ თითო ვაგონის შემზადება — შეფუთვისათვის 674 მანეთს, რაც ნამდვილად ღირდა 120—150 მან.

გამყოლებად აყენებდნენ ვაგონებს არტელის არა წევრებსაც, სპეკულანტებს, ვაჭრებს და სხვა არასაიმედო პირებს, რომლებიც პირიქით იძლეოდნენ სასყიდელს, რომ მოეპოვებინათ უფლება გამყოლისა და კონტრაბანდით წაეღოთ „თავისი საქონელი" სპეკულაციისათვის. არტელის არა წევრები, მაგრამ არტელის სახელით გაგზავნილები იტაცებდნენ, ფლანგავდნენ ჩაბარებულ პროდუქტების ნაწილს. დანარჩენს კი აბარებდნენ მიმღებ ორგანიზაციებს გაფუჭებულს, აზარალებდნენ გამგზავნ ორგანიზაციებს.

ამ საკითხის გულდასმით შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ციტრუსების და საერთოდ მალფუჭი პროდუქტების გადაზიდვის საქმე უნდა გასახელმწიფოებრივდეს. ამ საქმის კვლავ კერძო პირების ხელში დატოვება, რასაც დღემდე ჰქონდა ადგილი ყოვლად შეუწყნარებელია. ყოვლად შეუწყნარებელია აგრეთვე აქ ერთი ან რამდენიმე პარალელურად მომქმედი, ერთმანეთის მოქიშპე ორგანიზაციის არსებობა.

ჩვენ წამოვაყენეთ წინადადება ხილის გაზიდვის საქმის რკინიგზის ხელში მთლიანად გადაცემის შესახებ. ეს საკითხი განსახილველად გადაეცა ა.-კ. რკინიგზების სამმართველოს. რკინიგზის სამმართველო სავსებით დაეთანხმა ჩვენს წინადადებას და აღიარა ამ საქმის გასახელმწიფოების აუცილებლობა, მაგრამ რადგან ამჟამად ხეხილის და ციტრუსის გადაზიდვა უკვე დაიწყო, ხოლო ამ ღონისძიების გატარება მოითხოვს წინასწარ მუშაობას, ამიტომ მან იკისრა [illegible] ხილი ჯერჯერობით მხოლოდ შეფუთვა — შემზადებას. ეს მით უფრო საჭიროა, რომ კერძო პირები ვაგონებს აფუჭებენ და არ აკეთებენ მას ისე, როგორც ეს საჭიროა. რაც შეეხება ვაგონების გამყოლების შტატის შექმნას, ამას რკინიგზა ჯერჯერობით ვერ კისრულობს. მან არჩია დროებით დადოს ხელშეკრულება რომელიმე ორგანიზაცია-არტელთან, რომელიც იქნება რკინიგზის კონტრაგენტი, საკმაო გარანტიას წარმოადგენს ფულადი თანხის სახით და ამრიგად თვითონ შეუთანხმდება გადამგზავნ ორგანიზაციებს სათანადოდ შემუშავებული ტარიფის მიხედვით, როგორც გამყოლების, ისე ვაგონების შემზადება—შეფუთვის საქმეში.

ამ დღეებში მოწვეულ იყო ამ საკითხზე თათბირი დამზადების კომიტეტში; თათბირს დაესწრნენ გამყოლთა ახლად ჩამოყალიბებული ხუთამდე არტელის წარმომადგენლები. დამამზადებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად თათბირმა დაადგინა: რადგან სეზონი მოახლოვებულია და რკინიგზა დღესდღეობით მთლიანად ვერ იკისრებს ხილის გაზიდვის საქმის ორგანიზაციას, ეს საქმე გადაეცეს მხოლოდ არტელ „ტრანსპორტნიკს" (ჩამოყალიბებულია „კოოპკავშირთან") და „პროვოდნიკს" (ჩამოყალიბებულია სარეწაო კავშირთან). ეს დადგენილება წარედგინება საქ. სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად. ამ ღონისძიებათა გატარებით აღმოიფხვრება ხილის გაზიდვის საქმეში არსებული მრავალი ნაკლოვანება.

ლ. კუპრაშვილი

◇ ◇ ◇

„პატარა" ბუხჰალტერული შეცდომა

(ბათომი. „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან)

— მოქალაქე გრიგოლ მურმანიძეს ბრალდება 2.000 მანეთისა და 02 კაპიკის გაფლანგვა მოქ. ნ. აბაშიძესთან ერთად „აჭარკავშირის" № 20 მაღაზიაში მუშაობის დროს — ასე სწერია ცნობაში, რომელიც ჩვენ მივიღეთ „აჭარკავშირის" ბუხჰალტერიიდან. იქვე გვითხრეს: ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ, რომელს რამდენი ვალი აქვს და რომელი მათგანია დამნაშავე, საქმე სასამართლოს გადავეცითო.

თუ სასამართლოს საქმის ფურცლებს გადაშლით, უამრავ ციფრებს იპოვით. ამ საქმიდან გაიგებთ, რომ მურმანიძესა და აბაშიძეს, გარდა იმისა, რაც აბაშიძემ მურმანიძის მოსვლამდე გაფლანგა, ვალად ედებათ 1.600 მანეთამდე, მგონი დიდი ბუხჰალტერიული ცოდნა არ არის საჭირო იმისათვის, რომ ეს ციფრი შუაზე გავყოთ და მივიღოთ 800 მანეთი. მაგრამ აბა „აჭარკავშირის" აღმასრულებელსაც ჰკითხეთ „ლისტში" რა უწერია„ — 1.420 მანეთი პლუს 250 მანეთი.

— ამხანაგო, რომელია სწორი? — ჩემის აზრით, კაპეიკი არ მმართებს თქვენი. იანგარიშეთ, გამოარკვიეთ, — ედავება საპატიმროდან ბუხჰალტერიასა და მოსამართლეს მოქ. მურმანიძე, რომელსაც მისჯილი აქვს წელიწადი და ექვსი თვე.

დღემდე არკვევენ და ანგარიშობენ, მაგრამ საქმეს საშველი არ დაადგა.

საქმე შემდეგშია. 1935 წლის პირველ დეკემბერს, რაიმე ბრძანების დაუწერლად „აჭარკავშირის" სამმართველომ მოქ. გრიგოლ მურმანიძე გაგზავნა მაღაზია № 20-ში მეორე ხელის გამყიდველად; ამავე დღეს აღწერეს მაღაზია და ჩააბარეს მას გამგესთან — ნიკოლოზ აბაშიძესთან ერთად. 17 დღეში გამოირკვა, რომ აბაშიძეს ამ მაღაზიაში გაფლანგული ჰქონია ხუთი ათას მანეთზე მეტი. 17 დეკემბერსვე იწერება ბრძანება, რომ აბაშიძე პასუხისგებაში მიეცეს და მაღაზია მურმანიძეს ჩაბარდეს. 17 დეკემბრიდან 8 იანვრამდე მუშაობდა მურმანიძე მაღაზიაში და ჩვენ ხელთა გვაქვს ცნობა, რომ მას არავითარი დანაკლისი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ რატომღაც მაინც დაადგინა: გადახდეს მურმანიძეს ზემოთაღნიშნული თანხა.

ექვსი თვე სრულდება, რაც იგი პატიმრობაშია, ორმოცამდე თხოვნა და განცხადება აქვს დაწერილი ამ ხნის განმავლობაში, ორმოცჯერ ჩაიქნიეს ხელი მოსამართლეებმა. ბოლოს სულელიც უწოდეს და მისი ხმა: საფუძვლიანად გაარჩიეთ ჩემი საქმე, არაფერი მმართებს, თუ კაპეიკი დამედება ვალად, მომასჯეთ სოციალური დაცვის უმაღლესი სასჯელით, რჩება ხმად მღაღადებლისა [illegible] შინა...

მხოლოდ აჭარის ოლქის პროკურატურა, ვფიქრობთ, გამოარკვევს ამ საქმეს.

შ. ფურცხვანიძე.

ამხ. ა. ამაჭუნის მოხსენების დასასრული

კომიტეტში და არც საერთოსაკავშირო დაწესებულებებში. ხანჯიანი ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიდა, რომ ტფილისიც და მოსკოვიც თეატრის მშენებლობის წინააღმდეგი არიან, და რომ ამიტომ იძულებული ვართ ფული ჩვენი ბიუჯეტის სახსრებს მოვაკლოთ და პირადი რისკით ვაშენოთ. სახალხო სახლის მშენებელს ტამანიანს და მთელ რიგ პირთ ხანჯიანმა ამგვარი ინფორმაცია მიაწოდა. ხანჯიანი სახალხო სახლის მშენებლობას განზრახ საიდუმლოებით მოსავდა, ნაციონალისტურ განწყობილებას აღვივებდა და სიცრუით პოლიტიკური კაპიტალის შეძენას ცდილობდა.

ხანჯიანი ამ დიდ მშენებლობას შეუდგა ისე, რომ კანონიერად დამტკიცებული პროექტები და ხარჯთაღრიცხვები არ ყოფილა, იგი უკანონოდ ართმევდა სხვადასხვა ორგანიზაციებს ათეულ და ასეულ ათას მანეთობით, თუმცა აშკარად იცოდა, რომ ასეთი მეთოდებით მშენებლობის დამთავრება არ შეიძლება. და მართლაც, ასეთი უგეგმო მშენებლობის მთელი რიგი წლების შედეგად იგი ჩიხში მოექცა. საკ. კ.პ.(ბ) ა-კ სამხარეო კომიტეტმა ხელი შეუწყო თეატრის მშენებლობის გამოყვანას ჩიხიდან და ჩაშალა ხანჯიანის ნაციონალისტური პროვოკაცია. საკ. კ.პ.(ბ) ა-კ სამხარეო კომიტეტის კომისიამ გამოიკვლია საქმის ვითარება, ჩაატარა აუცილებელი მუშაობა, მოახდინა გამოანგარიშება, გადასინჯა პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, შეიტანა ისინი ა-კ სახკომსაბჭოში. ა-კ სახკომსაბჭომ ეს საქმე დაამტკიცა და შეიტანა საკავშირო სახკომსაბჭოში, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება სახალხო სახლის შესახებ და დააკანონა სომხეთის თეატრის მშენებლობა.

განა საჭიროა ვინმეს კიდევ განვმარტოთ, რომ ყველაფერი, რაც სომხეთში აშენებულა, ყველაფერი, რაც კი შენდება და აშენდება, უფრო მეტი, — ყველა ის სიკეთე, რომლითაც სარგებლობს თავისუფალი სომეხი ხალხი საბჭოთა მიწაწყალზე, — ყველაფერი ეს გვაქვს მხოლოდდამხოლოდ ჩვენი დიადი პარტიის მეოხებით, ჩვენი ძვირფასი მამის გენიალური სტალინის მეოხებით! (მქუხარე ტაში).

განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ ყველა ჩვენი წარმატება მიღწეულია **ამიერ-კავკასიის მოძმე ხალხთა მჭიდრო ოჯახში, ამხანაგი სტალინის ნიჭიერი და ერთგული მოწაფის — ამხანაგ ლ. ბერიას ხელმძღვანელობით (ტაში).**

ნაციონალიზმის საზიზღარი პროვოკატორი ხანჯიანი, რომელიც ფარულად თავის დამქაშებს ეჩურჩულებოდა, ცილსა სწამებდა მოსკოვსა და ტფილისს, თვითონ სახელმწიფო საშუალებებს ისე ეკიდებოდა, როგორც საკუთარ სახსრებს. გამორკვეულია, რომ მას პირად განკარგულებაში ჰქონდა საგრძნობი თანხები, რომლებსაც, პარტიის შეუტყობინებლად, თავისი შეხედულებისამებრ ხარჯავდა და დიდძალ თანხებს ნაციონალისტურ ელემენტებს აძლევდა.

ამასვე სჩადიოდა მისი ძმაკაცი გალოიანი. რამდენიმე წლის განმავლობაში, მან სახელმწიფოს საგრძნობი თანხა დასცინცლა. ამ სახსრების ნაწილი მოხმარდა გადასახლებულ ტროცკისტთა ოჯახებს და თვით გადასახლებულთა დახმარებას.

როგორც უკვე აღნიშნული იყო, არამზადა გალოიანმა, როცა იგი იყო ც.ს.კ.-ის, ხოლო შემდეგ პარტკოლეგიის ხელმძღვანელი, განსაკუთრებით დანაშაულებრივი როლი ითამაშა კონტრრევოლუციური ტროცკისტების ნ. სტეპანიანისა და დ. ტერ-სიმონიანის საქმეების მიჩქმალვაში.

გამორკვეულია, რომ გალოიანმა ხელი დააფარა ამ ტროცკისტ-თვალთმაქცებს ხანჯიანის თანხმობით და პირდაპირი მხარდაჭერით.

კვლევაძიებამ ცხადჰყო, რომ თვითონ გალოიანი 1926-27 წლებში მიეკედლა ტროცკისტებს, იზიარებდა მათ შეხედულებებს, ეწეოდა კონტრრევოლუციურ მუშაობას. გალოიანმა ყველაფერი ეს დაუმალა პარტიას; იგი თვით დაპატიმრებამდე კვლავ ტროცკისტად, თვალთმაქცად რჩებოდა.

ხანჯიანის პირდაპირი დახმარებით, გალოიანი თავისი საქმიანობით ც. ს. კ.-ის თავმჯდომარის, ხოლო შემდეგ პარტკოლეგიის მდივნის პოსტზე აშკარად ცდილობდა კონტრრევოლუციურ ტროცკისტული ნაციონალისტური და ანტიპარტიული ელემენტების რეაბილიტაციას, რომელთა შესახებაც საქმეები ძირეულ პარტიულ ორგანიზაციებში წამოიჭრებოდა ხოლმე.

სპეციალურმა კომისიამ, რომელიც გამოჰყო სომხეთის კ.პ.(ბ) ც.კ.-მა პარტკოლეგიის მიერ შეწყვეტილ საქმეთა შესამოწმებლად, გამოარკვია; რომ 1934 წლიდან გალოიანის დაპატიმრების დღემდე მისი თავმჯდომარეობით 27 საქმეზე მიღებულ იქნა ანტიპარტიული გადაწყვეტილებანი, რომელნიც სჩქმალავდნენ ყოფილი და ფარული ტროცკისტების, ანტისაბჭოთა, ანტიპარტიული და ნაციონალისტური ელემენტების საქმეებს.

გამოძიებით გამოირკვა, რომ გალოიანის ნაცნობთა უახლოესი წრე შესდგებოდა, უმთავრესად, ნაციონალისტური, ობივატელური და ტროცკისტული ელემენტებისაგან, რომელნიც გალოიანის სახით ხედავდნენ მათთან დაკავშირებულ კაცს, რომელიც შეიძლებოდა მათთვის სასარგებლო ყოფილიყო.

ხანჯიანისა და გალოიანის დანაშაულთა ჯაჭვში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტატიკიანის საქმეს როცა პარტიის წევრმა ტატიკიანმა სიგნალი მოგვცა „პრავდაში", ტოტოვენცმა კონტრრევოლუციური წიგნაკი დასწერა და ხანჯიანმა ამ წიგნის გამოცემას ხელი შეუწყო, გალოიანმა, ხანჯიანის თანხმობით, შესთითხნა საქმე ტატიკიანის წინააღმდეგ, გარიცხა იგი პარტიიდან, სამუშაოდან მოხსნა, ყალბად ბრალი დასდო მოგონილი დანაშაულის ჩადენაში და სამართალში მისცა. ტატიკიანი 2 წელს ზედიზედ განიცდიდა, ყოველგვარ დევნასა და შევიწროებას და მხოლოდ ახლა იქნა მთლიანად რეაბილიტირებული და პარტიის წევრის სახელწოდებაში აღდგენილი.

თეთრი ემიგრანტების დაშნაკებისა და რამკავარების გაზეთებმა ხანჯიანის საზიზღარი თვითმკვლელობა გადააქციეს თავისი ანტისაბჭოთა ბრძოლის დროშად, თავისი კონტრრევოლუციური აგიტაციის ახალ არგუმენტად.

ხანჯიანისა და მისი თვალთმაქცური ნაციონალისტური ხაზისადმი ჩვენი მტრების სიმპატიის მიზეზები სავსებით ნათელია.

მოყვანილი ფაქტების ფონზე გასაგები ხდება დაშნაკ ჯაბალიანის განცხადება, რომ „ხანჯიანში სომეხი პატრიოტის სინიდისმა გაიღვიძაო".

დიახ, ამხანაგებო, ხანჯიანის სახით ჩვენ გვაქვს სომხური ნაციონალ-უკლონიზმ-სპეციფიზმის უეჭველი **„გაღვიძება"** — რეციდივი!

ხანჯიანის ნამდვილი სახის მთელი ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენ მისი მხრით გვაქვს ცდა აღორძინებინა სომხური სპეციფიზმი, ნაციონალ - უკლონიზმი, რომელიც სოციალიზმის საბოლოო და სამუდამო გამარჯვების ახლანდელ ეტაპზე კონტრრევოლუციური დაშნაკიზმის და კონტრრევოლუციური ბანდიტური ტროცკიზმის პოზიციებზე დაეშვა, მათთან შემჭიდროვდა და ამავე დროს საფარად იყენებდა პარტიის მოტყუების მეთოდს, პარტიის წინაშე საზიზღარი თვალთმაქცობის მეთოდს.

○

უდიდესი, უდავო წარმატებანი სომხეთის სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტ უბნებზე სომხეთის ბოლშევიკების მიერ მიღწეულია საკ. კ. პ. (ბ) ბოლშევიკური ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და პირადად ამხანაგ ბერიას ხელმძღვანელობით (მქუხარე ტაში).

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და ამხანაგ ბერიას ყოველდღიურმა ზრუნვამ და მუდმივმა ყურადღებამ უზრუნველჰყვეს ჩვენი მიღწევები პარტიული, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დარგში.

მოვიყვან რამდენიმე ფაქტს.

ცნობილია, თუ რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ სომხეთის მთიანი რაიონები ჯერ კიდევ 1933 წელს. თვითონ ხანჯიანის თავჭარიანობის, სოფლის მეურნეობის არასწორი დაგეგმვის, სოფლად შიშველი ადმინისტრირების შედეგად, მთიანი რაიონებიდან გლეხები ათასობით მიდიოდნენ, მიდიოდნენ მშიერნი და აჩანაგებდნენ თავის მეურნეობებს.

მიუხედავად მრავალი სიგნალისა, ხანჯიანს მთიანი რაიონების საკითხი არც ც. კ.-ში, არც სახკომსაბჭოში არ დაუსვამს. კიდევ მეტი, მან ფარდი აუფარა მას და მიჩქმალა ნამდვილი მდგომარეობა სომხეთის კომპარტიის IX ყრილობაზე 1934 წლის იანვარს.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტი და პირადად ამხანაგი **ბერია,** როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, ჩაერივნენ ამ საქმეში, მთიანი რაიონების საკითხი განსახილველად დასვეს საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტში და კონკრეტულად, პრაქტიკულად შეუწყეს ხელი ადამიანებითა და სახსრებით. ბოლო მოუღეს უწესრიგობას ამ რაიონებში.

საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის მიერ ამ რაიონებში გაგზავნილებმა ამხ. მ. დანიელიანმა, კ. გრიგორიანმა და სხვ. შესძლეს მოკლე ვადაში გამოეყვანათ ეს რაიონები მძიმე მდგომარეობიდან და ჩაეყენებინათ ისინი მოწინავე რაიონთა რიცხვში.

ამხანაგ **ბერიას** რჩევა-დარიგებამ, მითითებებმა, სისტემატურმა დახმარებამ ხელი შეგვიწყეს აგვემაღლებინა მეცხოველეობა, გაგვეშალა საკოლმეურნეო მშენებლობა სომხეთში.

ამხანაგმა **ბერიამ,** ზრუნავს რა ერევნის პარტიული ორგანიზაციის შემჭიდროებაზე, სომხეთის კომპარტიის შემჭიდროებაზე წამოაყენა წინადადება ქ. ერევანში რაიონების შექმნის შესახებ. ამ საკითხის განხილვისას ხანჯიანი საწინააღმდეგო მოსაზრებებით გამოდიოდა — ერევანი პატარა ქალაქია, ორგანიზაციის დანაწევრება მიზანშეუწონელიაო და სხვ. რაიონები ქ. ერევანში შეიქმნა ხანჯიანის ჯიუტი წინააღმდეგობის გაწევის პირობებში. რაიონების შექმნიდან გასული უკანასკნელი თვეების მუშაობის გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, რომ ა.-კ. სამხარეო კომიტეტის გადაწყვეტილება და ამხანაგ **ბერიას** მითითება სავსებით სწორი იყო. ერევნის ორგანიზაცია ამ ხნის განმავლობაში თვალსაჩინოდ გაძლიერდა და განმტკიცდა. იგი მტკიცედ არის დარაზმული ც. კ-ის გარშემო და ბოლშევიკურ ბრძოლას აწარმოებს ნაციონალისტურ ტროცკისტულ ელემენტებთან.

მას ახლა აქვს თავისი ნამდვილი, მტკიცე, ბოლშევიკური სახე, მას ჰბაძავენ სომხეთის დანარჩენი პარტორგანიზაციები.

განსაკუთრებულია ამხანაგ **ბერიას** როლი იმ ტროცკისტთა მხილებასა და განადგურებაში, რომელნიც ლენინაკანის ორგანიზაციაში იყვნენ შეფარებულნი. ამხანაგ ლავრენტის ხელმძღვანელობით, ლენინაკანის ბოლშევიკებმა გამოჰგავეს ტროცკისტული სიბინძურე.

განა კიდევ საჭიროა სხვა ფაქტების მოყვანა?

ჩვენ შეგვიძლიან პირდაპირ განვაცხადოთ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე არ არის არცერთი ასეთუისე თვალსაჩინო საქმე სომხეთში, რომლის წარმატება დაკავშირებული არ იყოს ერთგული სტალინელის, ჩვენი ძვირფასი ლავრენტის სახელთან (ტაში).

მტკიცე და ძლიერია სომხეთის ბოლშევიკთა და მშრომელთა სიყვარული ამხანაგ **ბერიასადმი!**

ხანჯიანის პროვოკაციულ სროლას სომხეთის ბოლშევიკებმა უპასუხეს თავიანთი შემჭიდროებითა და მონოლიტობით საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტისა და ამხანაგ **ბერიას გარშემო,** საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და ხალხთა ბელადის ამხანაგი **სტალინის გარშემო! (მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

◆

ჩვენ გვწერენ

კიდევ ერთი „გუგული"

მცხეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მექანიკოსი მიშა მარეხაშვილი ნამდვილი ველურივით ექცევა ქალებს. იგი სეზონური ტანისამოსივით იცვლის ცოლებს. უყვარს „ყვავილიდან ყვავილზე" ფრთხიალი, ერთი სიტყვით, ნამდვილი „ლოველასია". მაგრამ ამ „ფრთხიალის" შედეგად გაჩენილ ბავშვებზე მზრუნველობისათვის თავს არ იტკივებს.

მარეხაშვილს ქალი წარმოუდგენია, როგორც პირადი სათამაშო ნივთი. კარგა ხანია მას შემდეგ, რაც მან გაუშვა პირველი ცოლი 2 ბავშვით, მალე მეორე შეირთო, მაგრამ მასთან მხოლოდ 8 თვე დაჰყო და შემდეგ ისიც გაუშვა.

ახლა მესამე „ყვავილისაკენ" გაიფრთხიალა მიშამ, შეირთო მესამე ცოლი, მაგრამ ამ ახალ „ცოლთანაც" სულ მცირე ხანი დაჰყო და „გაისტუმრა".

ამ უმსგავსო ქცევას მარეხაშვილი კიდეც იკვეხნის: სამი ქალი გავუშვი, სულ ერთი-მეორეზე უკეთესები, გაიძახის.

ჩვენი დროის ამ „ლოველასმა" სამი მსხვერპლიც არ იკმარა, გაეშურა ზუგდიდისაკენ და ახლა იქ იპყრო ახალი „ყვავილის" ძებნა. მალე იპოვა კიდეც. შეირთო ახალგაზრდა ქალი თეკლე გნურენიძე.

შეხმატკბილებული ცხოვრება მოკლე გამოდგა. მარეხაშვილმა უმოწყალოდ ცემა დაუწყო თავის მეოთხე ცოლს — გნურენიძეს. თეკლეს ცრემლებს და ტირილს არაერთხელ შეუწუხებია მეზობლები. თანაც აშინებდა თეკლეს: თუ ჩივილი გაბედე, „ამ დანით მოგჭრი ენას თავსო".

საბრალო ქალმა ამდენი ცემა და შევიწროვება რომ ველარ აიტანა, მცხეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. სონა თაბუაშვილს მიმართა. ამ უკანასკნელმა მხოლოდ ის გააკეთა, რომ თეკლე „შეარიგა" თავის მხეც ქმართან.

ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ თეკლე გნურენიძე მცხეთის საავადმყოფოში გამოცხადდა ცემით დასიებული. ექიმმა როსტიაშვილმა ცემის ფაქტი სათანადო აქტით დაადასტურა.

ახლა კი იგრძნო საფრთხე მარეხაშვილმა და დატრიალდა. მეგობრების დახმარებით იგი კვლავ „შეურიგდა" გნურენიძეს.

უკანასკნელად მარეხაშვილმა კიდევ ერთი სისაძაგლე ჩაიდინა. აიძულა თეკლე აბორტი გაეკეთებია, რის შემდეგ სულ მიატოვა იგი თავისი 2 წლის ბავშვით.

მარეხაშვილი მუხრანში გაიპარა, მტს-ის ბუღალტერს კი დაუბარა: იმ ქალთან საერთო არაფერი მაქვს და მას ფული არ მისცეო.

უძღები „გუგული" მიშა. უყვარს ახალ-ახალი ცოლები. ბავშვები? ბავშვები კი და სხვამ არჩინოს!

თქმა არ უნდა, რესპუბლიკის პროკურატურა ფრთებს შეაჭრის ამ საზიზღარ „გუგულს" და საზღვარს დაუდებს მის გახრწნილებას.

გ. რაზმაძე.
ა. ქემოკლიძე.

დაუსრულებელი მშენებლობა

ჯერ კიდევ 10 წლის წინათ კოხნარის მოსახლეობა დიდის აღფრთოვანებით შეხვდა დადგენილებას კლუბის აშენების შესახებ.

მოსახლეობამ გაიღო თანხა მუშაობის დასაწყებად. კლუბს საძირკველი ჩაეყარა, მაგრამ ეს საძირკველი ცუდი გამოდგა. ხელახლა დაიწყეს მუშაობა, ხელახლა გაიღეს თანხები. 1 მეტრის სიმაღლის ქვის კედელი აშენდა. ეს იყო 1929-30 წლებში. ამის შემდეგ მუშაობა შეჩერდა.

განვლო 2 წელმა და ისევ დაიწყო თანხების შეგროვება. უნდა გვეფიქრნა, რომ მშენებლობა წინ წაიწევდა, მაგრამ კედელს მხოლოდ 1 მეტრი მოემატა. 1934-35 წლებში ერთხელ კიდევ გაიხსენეს იგი. ფული კიდევ მოაგროვეს. კედელი ამოიყვანეს. შემდეგ დავიწყებას მიეცა კლუბი.

მოსახლეობას კი ძალიან ესაჭიროება კულტურული მუშაობის კერა. ვეკითხებით რაიაღმასკომს, როდემდის გაგრძელდება ასე?

ვ. კიკვაძე.

პურის წერტი და ავტომატი

ქალაქის მცხოვრებთა მომსახურების მიზნით საბურთალოზე გაიხსნა საკოლმეურნეო ბაზარი. ამის გამო გაიზარდა მოთხოვნილება პურზე. აქ პურის მხოლოდ ერთი წერტია (№ 59), რომელიც ველარ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას: ხელოვნურად იქმნება რიგები და საღამოობით წერტს სულაც არა აქვს პური. საჭიროა გაიხსნას დამატებით პურის ახალი წერტი.

ასევე მოუწესრიგებელია ამ უბანში ხანძართან ბრძოლის საქმე. ცეცხლი რომ გაჩნდეს, სახანძრო რაზმს დროზე ვერ გამოუძახებ. საჭიროდ მიგვაჩნია საბურთალოს ფოსტაში დაიდგას ავტომატი, რაც არც ისე ძვირად დაჯდება და ქალაქთან კავშირს გაადვილებს.

მ. მიქიაშვილი.

დადგენილებას შესრულება უნდა

საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტს თავისი სტუდენტთა სასადილო აქვს. სასწავლო წლის დასაწყისში სასადილომ კარგად დაიწყო მუშაობა, სადილებს კარგს აკეთებდენ. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ სტუდენტთა მომსახურება გაუარესდა.

ახლა სადილებს ნაკლები ხარისხისას აკეთებენ. არა აქვთ საკმაო კოვზები და დანა-ჩანგალი. მომტანთა სიმცირის გამო ავით სტუდენტებს უხდებათ სამზარეულოდან სადილის მიღება, რის გამო სამზარეულოს სარკმელთან რიგები იქმნება.

არც სანიტარულ-ჰიგიენური პირობებია დაცული. ხელსაბანთან არ არის პირსახოცი, ზოგი მომტანი თავშეუკრავი მუშაობს, რაც არაჰიგიენურია.

პურის წერტი მოთავსებულია კიბის ქვეშ. კიბეზე განუწყვეტელი მოძრაობაა, რის გამო პურს მტვერი ეცემა.

სასადილოს გამგე კაკაბაძე სტუდენტთა შენიშვნებს ყურადღებას არ აქცევს.

ინსტიტუტის პროფორგანიზაციის მხრივ სასადილოს ხელმძღვანელობა მხოლოდ კრებებზე ლაპარაკით და დადგენილებების მიღებით ამოიწურება.

როდემდის გაგრძელდება ასე?

ა. ბერუჩავა



ახლად აგებული სახლი სტახანოველებისათვის საბურთალოში (ტფილისი).
ფოტო ბუდევიცკაია („სოიუზფოტოს" საქ. გან.)

უცხოელი მათემატიკოსები მუდმივ სამუშაოზე ტფილისში

სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალის მათემატიკურ ინსტიტუტში მუდმივ სამუშაოდ ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა ორი უცხოელი გამოჩენილი სპეციალისტი-მათემატიკოსი.

პროფ. ვალფიში, რომელიც აქ ვარშავიდან ჩამოვიდა, ითვლება რიცხვთა თეორიის დიდ სპეციალისტად. იგი, როგორც ტფილისის მათემატიკური ინსტიტუტის ნამდვილი წევრი, გასწევს სამეცნიერო მუშაობას და ამავე დროს იქნება ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური ფაკულტეტის რიცხვთა თეორიის კათედრის გამგე. საერთაშორისო მნიშვნელობის მათემატიკური ჟურნალი „აკტა არითმეტიკა", რომელიც ვარშავაში გამოდიოდა პროფ. ვალფიშის რედაქციით, გადმოტანილ იქნება ტფილისში. ჟურნალი გამოვა სამეცნიერო აკადემიის საქართველოს ფილიალთან.

მეორე უცხოელი მეცნიერი, პროფ. ს. ბერგმანი, გერმანიიდანაა. ის უკვე წელიწადნახევარია მუშაობს საბჭოთა კავშირში და ტფილისში ჩამოვიდა ქალაქ ტომსკიდან, სადაც მუშაობდა უნივერსიტეტში. პროფ. ს. ბერგმანი მრავალ კომპლექსურ ცვალებადთა ფუნქციების თეორიის გამოჩენილი სპეციალისტია. ტფილისის მათემატიკური ინსტიტუტის ნამდვილმა წევრმა პროფ. ს. ბერგმანმა იკისრა ასპირანტების ხელმძღვანელობა. ის აგრეთვე წაიკითხავს ლექციებს ტფილისის უნივერსიტეტში.

ორივე უცხოელი მეცნიერი ითვლება ცნობილი სამეცნიერო შრომების ავტორად თავიანთ სპეციალობაში (სადს).

ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დასახმარებლად

საქ. ხელოვნების მუშაკებმა შეაგროვეს 25.000 მანეთი

საქართველოს ხელოვნების მთელ ფრონტზე გაჩაღებულია ფართო მუშაობა თანხების შეგროვებისათვის ესპანეთის ქალთა და ბავშვთა დასახმარებლად. დღემდე ხელოვნების მუშაკებს შეგროვილი აქვთ 25.000 მანეთი. 10.000 მანეთი შემოვიდა მარტო იმ კონცერტიდან, რომელიც 31 ოქტომბერს მოაწყეს მსახიობმა ქალებმა ოპერის თეატრში.

ამ დღეებში სპეციალური კონცერტები და საღამოები მოეწყობა ცირკში, საფილარმონიაში, მარჯანიშვილისა და გრიბოედოვის სახელობის თეატრებში.

○

ტფილისის მოზრდილთა სანიმუშო საშუალო სკოლის თანამშრომლებმა და მოწაფეებმა ესპანეთის მშრომელი ქალებისა და ბავშვების დასახმარებლად სახელმწიფო ბანკში შეიტანეს 500 მან. და გადაწყვიტეს ყოველთვიურად გაიღონ თავისი წვლილი აღნიშნული მიზნისათვის.

სახელგამის ლითოგრაფიამ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება

სახელგამის ლითოგრაფიის მუშა-მოსამსახურეებმა წლის დასაწყისშივე იკისრეს ვალდებულება, ფართოდ გაეშალათ სტახანოვური მეთოდებით მუშაობა და ვადაზე ადრე შეესრულებინათ 1936 სტახანოვური წლის საწარმოო-საფინანსო გეგმა.

ნაკისრი ვალდებულება ლითოგრაფიის მუშა-მოსამსახურეებმა წარმატებით შეასრულეს. 1935 წლის ოქტომბერში ლითოგრაფიას მხოლოდ 2 სტახანოველი ჰყავდა. ამჟამად ჰყავთ 84 სტახანოველი. წლიური საწარმოო-საფინანსო გეგმა შეასრულეს 22 ოქტომბრისათვის, ერთი თვით და ერთი კვირით ვადაზე ადრე. გეგმა შესრულებულია საუკეთესო მაჩვენებლებით: შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 33,5 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება გეგმით გათვალისწინებული 3,5 პროცენტის ნაცვლად შემცირებულია 5,1 პროცენტით.



ბრძოლის ქუჩისა და ტელმანის ქუჩების ჯვარედინთან, „დინამოს" ახალ სტადიონის პირდაპირ, გაშენებული იყო ძველი ფიცრულით შემოვლებული სანერგე. ეს სანერგე ამახინჯებდა ქალაქის ცენტრს და ამავე დროს მიწის ნაკვეთიც შეუფერებელი აღმოჩნდა ამ დანიშნულებისათვის. ამჟამად ძველი სანერგის ნაცვლად აქ გაშენებულია ლამაზი ბაღი, სადაც მშრომელთ შეუძლიათ დაისვენონ სუფთა ჰაერზე. ბაღს შადრევნიანი შესავალი აქვს, რომელიც ამშვენებს ქუჩის ჯვარედინს. სურათზე: ახალ ბაღში შესასვლელი.

ფოტო ბუდევიცკაისა („სოიუზფოტო")

ნოტის საწერი მანქანა

ნოტის წერა მეტად ძნელი და რთული საქმეა. დღემდე მისი წერა უმთავრესად ხელით სწარმოებს, რაც დამწერისაგან მაღალ კვალიფიკაციას, ბევრ დროს და დიდ თანხებს მოითხოვს.

ნოტის გადაწერის ასეთ სიძნელეს თავიდანვე მიაქციეს ყურადღება სამუსიკო წრეებში. ჯერ კიდევ 1921 წ. ვასილ თამარაშვილმა სათანადო ორგანოებს წარუდგინა წინადადება, რომ ხმარებაში შემოეღოთ მის მიერ გამოგონებული ნოტის საწერი მანქანა, რომელიც ჩვეულებრივ საბეჭდ მანქანას (რემინგტონის ტიპისა) წააგავს. მას ერთდროულად შეუძლიან როგორც ნოტების, ისე სიტყვების (ლექსის) დაწერა, გამოსაყენებლად ადვილია, მასზე ბეჭდვა ყველას შეუძლიან, ვისაც ოდნავ გაეგება მუსიკის ანბანი.

ვ. თამარაშვილის ნოტის საწერი მანქანა დამზადდა საქ. გამომგონებელთა საზოგადოების ექსპერიმენტულ სახელოსნოში (ინჟ. ა. დავითოვის დახმარებით) და გამოცდის დროს კარგი შედეგი გამოიღო. იგი ნოტის წერას აიაფებს 50-60 პროცენტით, რაც ძალიან საყურადღებოა და ძვირფასი. ასეთ მანქანას დიდი გასავალი და მოხმარება ექნება არა მარტო მუსიკოსთა შორის, არამედ ყველა სამუსიკო გამომცემლობაში, თეატრებში, კინოებში, რადიოში, ცალკე ორკესტრებში, გუნდებში და სხვ.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა და ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა, რომლებიც დაინტერესებული არიან ასეთი მანქანით, იგი საბოლოო ცნობისათვის გადაგზავნეს მოსკოვში, სადაც მან მაღალი შეფასება მიიღო სათანადო ორგანიზაციებში (გამომგონებელთა ცენტრალური კავშირი, ხელოვნების საქმეთა საკავშირო კომიტეტი, ზუსტი ინდუსტრიის ტრესტი) და გადაეცა ლენინგრადის სპეციალურ ქარხანას სტანდარტული მანქანების შესამუშავებლად და ფართო ბაზარზე გამოსაშვებად.

◇

ხელოვნება

ქუთაისის თეატრში

ნოემბრის შუა რიცხვებში ქართული დრამის მსახიობთა მიერ რესპ. დამს. არტისტის იუზა ზარდალიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება დრეგელის „კარგად შეკერილი ფრაკი". ამავე დროს დასი პარალელურად ამზადებს შილერის „ყაჩაღებს". პიესების გაფორმების ხარჯები იკისრა ქუთაისის განათლების განყოფილებამ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრმა ი. ზარდალიშვილს გადასცა ვ. კაპანაძის ორიგინალური პიესა „ეს კაცი", რომელიც წარმოდგენილი იქნება იანვრის პირველ რიცხვებში. დასახელებული პიესებისათვის იქმნება ახალი ტანსაცმელი და ახალი დეკორაციები.

◇

კრებები

მწერალთა სასახლეში დღეს, საღამოს 8 ს. დრამ. სექცია აწყობს დრამატურგების შეხვედრას ლენინგრადელ დრამატურგ ამხ. ნიკიტინთან. ამხ. ნიკიტინი გააკეთებს მოხსენებას ლენინგრადელი დრამატურგების მუშაობის შესახებ. სიტყვებით გამოვლენ ქართველი დრამატურგები. დასწრება თავისუფალია.

სპორტი

ტფილისის „ლოკომოტივის" გამარჯვება

ხარკოვში გაიმართა სამხრეთის რკინიგზების ფეხბურთელთა გუნდების პირველობის გათამაშება. გათამაშებაში მონაწილეობას იღებდენ ექვსი რკინიგზის—სტალინის (დნეპროპეტროვსკი), ოდესის, ვოროშილოვის (როსტოვი), სამხრეთის (ხარკოვი), სამხრეთ-დასავლეთის (კიევი) და ამიერ-კავკასიის (ტფილისი) რკინიგზების „ლოკომოტივის" გუნდები.

თამაში მიმდინარეობდა ოლიმპიური სისტემით—ერთხელ დამარცხებული გუნდი გამოდიოდა გათამაშებიდან. ყველა შეხვედრა ხარკოვში მოხდა.

ტფილისის „ლოკომოტივი" წარმოდგენილი იყო შემდეგი შემადგენლობით: სოლომინი, პუმპურიძე, ვორონოვი, ლევინაშვილი, ნ. ჩხატარაშვილი, რამიშვილი, აფრიდონიძე, სიხარულიძე, შ. ჩხატარაშვილი, ჩერედნიჩენკო, ლოლაძე.

კენჭის ყრის შედეგად ტფილისის ლოკომოტიველები შეხვდნენ სამხრეთ-დასავლეთის რკინიგზის უძლიერეს გუნდს—კიევის „ლოკომოტივს".

თამაშმა სწრაფი ტემპით ჩაიარა. ორივე ტაიმში უპირატესობა ტფილისელების მხარეზე იყო. შეხვედრა დამთავრდა ტფილისის გუნდის გამარჯვებით 3:0.

26 ოქტომბერს ტფილისელები შეხვდნენ სამხრეთის რკინიგზის საუკეთესო გუნდს—ხარკოვის „ლოკომოტივს". თამაში 1:1 გათავდა.

მეორე დღეს მატჩი ხელახლა გათამაშდა. ამ დღეს გამარჯვება ტფილისის „ლოკომოტივს" დარჩა ანგარიშით 2:1.

ახალი ამბები

○ **საქ. სახელმწიფო** საჯარო ბიბლიოთეკამ საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის სამმართველოსაგან მიიღო ფრიად ძვირფასი საჩუქარი—ჟურნალ „შულჰაუსის" („სასკოლო შენობა") 1900—1914 წ. წ. გამოცემის კომპლექტი. ეს არის 15 ტომი პერიოდული გამოცემისა, რომელიც ბერლინში იბეჭდებოდა. ის სპეციალურად მიძღვნილია სკოლისა, სასკოლო მშენებლობისა და სკოლის მოწყობილობისადმი. გამოცემა მდიდრულად ილუსტრირებულია. ამ გამოცემით სარგებლობა შეუძლიათ საჯარო ბიბლიოთეკის პერიოდიკის განყოფილებაში.

○ **საქ. ადგილობრივი მრეწველობის** სახკომისარიატის ჩოთქების ფაბრიკაში დამთავრდა კბილის ჩოთქების საამქროს მოწყობა. ფაბრიკამ დაიწყო კბილის ჩოთქების გამოშვება. წლის ბოლომდე გამოუშვებს 15.000 კბილის ჩოთქს, ხოლო მომავალ წელს 250 ათასზე მეტს.

○ **ამ.-კ. რკინიგზის ხაზზო კომიტეტმა** 44 ათასი მანეთი გადასცა ხაშურის რკინიგზის კლუბთან კულტურისა და დასვენების პარკის გასაშენებლად. პარკის გაშენებას უახლოეს დღეებში შეუდგებიან.

○ **ტფილისის კომუნალური მუზეუმი** გადავიდა ახალ შენობაში კომკავშირის გორაზე. მუზეუმის განკარგულებაშია 5 დიდი დარბაზი გამოფენებისათვის. მთელი რიგი კაბინეტები სამეცნიერო მუშაობისათვის, ბიბლიოთეკის, ფოტოლაბორატორიის, არქივისა და სამეცნიერო სახელოსნოს ოთახები.

სასამართლო

დაიმსახურეს

ხუთკვირაზე მეტს გასტანა [illegible] [illegible] საქმემ [illegible], ბრალდებულთა [illegible] მასალები [illegible] ყურადღებას, [illegible] მოითხოვდა...

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, (იხ. „კომუნისტის" 24/IX და 12/X ნომრები) ყოფილი „ტსოკის" ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის—საალმშენებლო განყოფილების მესვეურებმა—ინჟინრებმა: გიორგი სიმონიშვილმა, ამირან სულაქველიძემ, ცოტნე დადიანმა და მომმარაგებელმა იოსებ გელოვანმა სოციალისტურ ქონებას შეხმატკბილებულად წაჰგლიჯეს ათეული ათასი მანეთები.

მავნებლური ფესვები მათ ისე ღრმად და ფართოდ გაიდგეს, რომ მრავალი სხვადასხვა არტელის თავმჯდომარეების, მათი მოადგილეების, ბუღალტრების, მომმარაგებლებისა და სამუშაოთა მწარმოებლების ხელისშეწყობით მოქმედებდნენ და საბოლოოდ არც ეს უკანასკნელნი ზარალობდნენ, პირიქით, ტკბილ, ხელმწიფე ლუკმას [illegible], მეგობრობის ქუდს [illegible].

როგორც ექსპერტთა საბოლოო დასკვნით და საქმეში არსებული მასალით გამოირკვა, ხსენებულმა მტაცებლებმა გაფლანგეს 173.000 მანეთი.

პირველ ოქტომბრის ღამეს უზენაესმა სასამართლომ, ამხ. ბურკაძის თავმჯდომარეობით, მტაცებლებს განაჩენი გამოუტანა. მთავარ ბრალდებულებს: გიორგი სიმონიშვილს, ამირან სულაქველიძეს, ცოტნე დადიანს და იოსებ გელოვანს, შვიდ აგვისტოს კანონის თანახმად, ათ-ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა შორეულ ბანაკში გადასახლებით და პირადი ქონების კონფისკაციით. სასჯელის მოხდის შემდეგ, მათ ხუთი წლის ვადით საარჩევნო ხმის უფლება ერთმევა. თ. პეტრე ძიძიგურს მიესაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა, ბესიკ ჩხეიძეს—ექვსი წლით, თათიანა ნაკაშიძეს—ორი წლით, ნიკოლოზ კაპაძეს—შვიდი წლით, სპეციალისტთა სახლების მშენებლობის უფროსს შალვა კობესაშვილს და ბუღალტერ გიორგი ხომშიაშვილს სამ-სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, ექსპედიტორს—ქრისტეფორე შეყარაძეს—ექვსი წლით.

ამ საქმესთან დაკავშირებით მიცემულნი ინჟინრები: პეტრე მარტიროსოვი, დიომიდე მახარაძე, ნიკოლოზ ლოლაძე და მეორე გიორგი პაპუნაშვილი ბრალდებულის დაუმტკიცებლობის გამო გაამართლა. დანარჩენ ხუთ ბრალდებულს მიესაჯა სასჯელი სხვადასხვა ვადით.

პარტკალენდარი

ლადო კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

3 ნოემბერს პროპაგანდისტთა სკოლის მეცადინეობა (ქართული ჯგუფები). საღამოს 7 საათზე.

საქ. კ.პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „შეიარაღებული აჯანყების ლენინურ-სტალინური გეგმა და ტროცკის, ზინოვიევისა და კამენევის გამცემლური პოზიცია 1917 წლის ოქტომბერში". 8 საათზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის ბოლშევიკური სტრატეგიული გეგმა 1917 წელს". 8 საათზე.

პროპაგანდის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ბოლშევიკური პარტიის ეკონომიური პლატფორმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ". 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია № 8 ავტოსარემონტო ქარხნის აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „ესპანეთის ხალხი ფაშისტურ მეამბოხეებთან ბრძოლაში". საღამოს 8 საათზე.

კომკავშირის კაბინეტი — კონსულტაცია პროპაგანდისტებისა და კომკავშირის აქტივისათვის თემაზე: „პარტიის მეექვსე ყრილობა ახალგაზრდობის კავშირის ამოცანათა შესახებ". საღამოს 8 საათზე.

— **კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი** იუწყება, რომ დღეს, საღამოს 7 საათზე, რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება ფეხსაცმლის № 1 და 2 ფაბრიკების და „ტფილფეხსაცმელშენის" ფაბრიკა-ცეხების აგიტატორების მეთოდური მეცადინეობა თემაზე: „ლენინი და სტალინი ბოლშევიკური აგიტაციის მეთოდიკის შესახებ". აღნიშნულ ფაბრიკათა აგიტატორების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ.პ. (ბ) ტყიბულის რაიკომი გაუქმებულად აცხადებს დაკარგულ პარტბილეთებს № 1533877 და 1536122 გაცემულს ტყიბულის რაიკომის მიერ ვასილ ბაგრატის ძე გოჩელაშვილისა და ვლადიმერ გიორგის ძე ყანდარელის სახელზე.

ორჯონიკიძის რაიკომი წინადადებას აძლევს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს სამი დღის ვადაში გამოცხადდნენ რაიკომში პარტდოკუმენტების გამოცვლის საკითხთან დაკავშირებით: გ. ა. ყვერნაძე, გ. ბ. ვაჩნაძე, ნ. ა. ჩიქვილაძე, ლ. მ. ლალიაშვილი, ფ. ი. კოლტუნოვი, ი. ა. გოლოვჩენკო, ი. ს. მარკინი, ი. ნ. მამიევი, შ. ა. სოლომონიძე, რ. ი. სანებაძე, ლ. ს. ფალიანი, ე. ს. მალისიანი, მ. ტ. გელდიევა, მ. ოგანიანი, ვ. ს. აზნაურიანი, პ. გ. თურქაძე, თ. ნ. [illegible], ი. მ. ლაბაძე, ი. ი. კოდალაშვილი, მ. მ. მოსულიშვილი, მ. ი. ავლოხაშვილი, ნ. ი. გვენეტაძე, ნ. მ. კალანდარიშვილი, ვ. ა. [illegible]კოლაშვილი, გ. ლ. აბესალაშვილი, ა. [illegible] ლაბადია.

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრი 1936-37 წ. სეზონი

3 ნოემბერს — შემოდგომის აზნაურები
4 ნოემბერს — პლატონ კრეჩეტი

სალარო ღიაა 12 საათიდან 8-ნახ. საათამდე დასაწყისი 8 საათზე.
25 ოქტომბრიდან იწარმოებს ნოემბრის და დეკემბრის თვეების მუდმივი ადგილების ბილეთების გაცემა. მეორე გადასახადი სავალდებულოა, თან უნდა იქონიოთ მინდობილობა და გადარიცხვის ცნობა. მუდმ. ადგილ. გაყიდვა გრძელდება.

მარჯანიშვილის სახელ. თეატრი

3 ნოემბერს წარ. № 25 — შორეული
4 ნოემბერს წარ. № 26 — მზის დაბნელება საქართველოში

ბილეთები თეატრის სალაროში დილის 12-დან—საღამოს 9 საათამდე დასაწყისი საღამოს 8 საათზე. თეატრთან ჩერდება ავტობუსი № 1 და 2.

სახკინმრეწველობის თეატრები

ოქტომბერი ი, 8, 10 / დამკვრელი 6-45, 8-45, 10-45 — ახალი ფერადი საბჭოთა ხმოვანი ფილმი გრუნია კორნაკოვა (ხოლოვეი-ხოლოვუშკა)
კომკავშირელი 6-30, 8, 9-30, 11 — ახალი ხმოვანი ფილმი ქარლ ბრუნერი პროგრ. გარეშე ესპანეთის ამბები მე-3 გამოშვება
რ. ლუქსემბურგის სახ. 6, 7-40, 9-20, 11 — დადგმის მეორე კვირა ახალი ხმოვანი ფილმი ბედნიერების მაძიებელნი
26 კომუნ. სახ. 8, 10 — ხმოვანი ფილმი ღამის მეეტლე
კომინტერნი 8, 10 — ხმოვანი კომედია ქალიშვილს პაემანზე ეჩქარება
ახალი ამბები (ქრონიკის თეატრი) — ესპანეთის ამბები მე-11 გამოშვება ჟურნალი № 47. ოკეანისგზელი № 2.

სახცირკი ელბაქიძის დაღმ. 14 ტელ. 3-11-44

დღეს, 3 ნოემბერს დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად ახალ გასტროლიორთა მონაწილეობით.
3 'ოლტონი, 4 არკადო, მწვრთნელი 6 ჰ. გლადილშჩიკოვი. ერთდროულად არენაზე ლომები, თეთრი დათვები, ძაღლები და სხვ. პირველად ეფექტიანი სანახაობა: „ლაზი ინდოეთში". მტაცებელთა კვება, მსროლელი დათვი, ხტომა ნირალდებზე და სხვ.
დასაწყისი 8 ს. 30 წ. სალარო ღიაა 1-დან 2 ს მდე და 5 საათიდან 6 და 8 ხოლმე. დღის წარმოდგ. ახალ გასტროლიორთა და [illegible] ფასები დაკლებულია. დასაწ. 2 საათ.

საქსარეწტყეკავშირის და წევრთა საერთო კრების დადგენილების თანახმად, ა-წ. 29 ოქტომბრიდან ხდება

არტელ „რუსთაველის"
(ლენინის ქუჩ. № 14)
ლიკვიდაცია.

დაინტერესებულმა პირებმა და ორგანიზაციებმა ყოველგვარი პრეტენზიები უნდა წარმოადგინონ ლიკვიდკომში ა-წ. ნოემბრის 15-მდე, რის შემდეგ წარმოდგენილი პრეტენზიები მიღებული არ იქნება.

ლიკვიდკომი. 1637

ქ. ტფილისის ორჯონიკიძის სახელობის რაისახალხო სასამართლოს აღმასრულებელი **შინგაზრდილოვი** ამით აცხადებს, რომ 1936 წ. 4 ნოემბერს, დღის 1-ლ საათზე, ქ. ტფილისში, ბროსეს ქუჩაზე 5 №-ის სახლში

საჯარო ვაჭრობით გაყიდის

მოქ. ანტონ კალანდაძის ქონებას: ბუფეტის შკაფს, შიფონერს, ხალიჩას, პირსაბანს და სხვა საოჯახო ნივთებს. ქონება შეფასებულია 3.400 მანეთად და გაიყიდება ბორჯომწყლების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ორჯ. რაისახ. სასამართლოს მიერ 1936 წ. 10 ოქტომბრის № 68/-ით გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.

16537

სრულიად საქართვ. „სარეწაო კავშირის" სისტემის არტელ „გუჯტრანსპორტის" დასკვნითი

ბალანსი

1936 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	285.408—51
2	კაპიტალური დაბანდებანი	—
3	საწარმოო მარაგები	123.016—77
4	ფულადი საშუალებანი	28.591—42
5	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	534.811—12
6	ხარჯები მომავალ დროისა	—
7	განზიდული საშუალებანი	67.199—69
8	შინაგანი (ბალანსთა შორის) ანგარიშსწორება	247.094—23
9	დანაკარგები	—
	ბალანსი	1.286.111—74

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ფონდები	463.339—70
2	მიზნობრივი რეზერვები	736—46
3	მოგვარებელი მეზღები	—
4	გრძელვადიანი კრედიტები	21.158—50
5	მოკლევადიანი კრედიტები	—
6	ანგარიშსწორებანი	509.238—23
7	შინაგანი (ბალანსთა—შორის) ანგარიშსწორებანი	247.094—23
8	დაგროვებანი	41.544—62
	ბალანსი	1.286.111—74

არტელის თავ-რე **ხვიჩინაშვილი**
მთავ. ბუღალტერი **ლამბაშიძე**
დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის" საბალანსო კომისიის მიერ.

1610

ბალანსი

ტფილისის საბჭოს აბანოების ტრესტისა 1936 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	2.529.376—84
2	მასალები	34.765—64
3	ფულადი საშუალებანი	3.038—21
4	დებიტორები	39.830—58
5	ი/საბჭ. საფინანსო	1.121.852—16
	ბალანსი	3.728.863—43

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ფონდები	1.803.092—79
2	რეზერვები	3.565—00
3	კრედიტორები	22.281—45
4	დაგროვება 1935 წლ.	1.899.924—19
	ბალანსი	3.728.863—43

დირექტორი ი. იუსუფოვი.
მთ. ბუღალტერი: **კალენტარიშვილი**
ბალანსი განხილულია ცენტრ. საქალაქო საბალანსო კომისიაში. დამტკიცებულია ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის მიერ (ოქმი № 17, § 2):

1619

სრულიად-საქართველოს „სარეწაო კავშირის" სისტემის არტელ „გრუზნიტის" დასკვნითი

ბალანსი

1936 წ. 1 იანვრისათვის

აქტივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი	84.828—78
2	კაპიტალური დაბანდებანი	47.047—95
3	საწარმოო მარაგი	170.171—42
4	ფულადი საშუალებანი	6.861—60
5	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	7.116—66
6	მომავალ დროის ხარჯები	8.293—19
7	განზიდული საშუალებანი	90.561—13
	ბალანსი	414.480—73

პასივი

№№ რიგ.	მუხლების დასახელება	თანხა
1	ფონდები	146.751—76
2	მოგვარებელი მეზღები	8.800—00
3	გრძელვადიანი კრედიტები	2.000—00
4	მოკლევადიანი კრედიტები	24.000—00
5	ანგარიშსწორებანი	26.306—65
6	დაგროვებანი	206.622—32
	ბალანსი	414.480—73

არტელის თავმჯდომარე **ვ. ზარნაძე.**
მთ. ბუღალტერი მ. შულენიკოვი.
დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის" საბალანსო კომისიის მიერ. № 8 ა/წ 23/I.

15[illegible]9

ყულევის ხეტყის სახ-ქარხანა

იყიდება ფოთის ადგილ. მრეწველობის გამგებლობაში. რეგისტრირებულია ქ. ფოთის ფინგანში 1936 წ. 17 თებერვალს № 14. საქმიანობის საგანი: ხე-ტყის დამზადება, გამოზიდვა, დახერხვა. საანგარიშსწორებო ანგარიში № 98—14 საბანკის ფოთის განყოფილებაში, მისამართი: ს. ყულევი, ხე-ტყის სახერხი ქარხანა.

თავმჯდომარე ეფშილავა.
მთ. ბუღალტერი ხუნწარია.

1096

საქსედი

(საქ. დაუსწრებელი საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი)
გადავიდა საქართველოს ფინსახკომის შენობაში
კეცხოველის ქუჩაზე № 7.

16538

მისამართი: რედაქცია—ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 16 გამომცემლობის—რუსთაველის პროსპექტი № 34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67, სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40, მშრომელთა წერილების 3—73—24, ღამის რედაქტორის 3—26—67, გამომცემლობის 3—51—81, სტამბის დირექტორის—3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული ბ. 8529